# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 22 იანვარი, 2011 წელი.
№13 (6624)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge
ვებ გვერდი: www.open.ge
ფასი 50 თეთრი.

## ვის შეუძლია სურსათზე ფასების ზრდის შეჩერება?

ხელისუფლებას ეს არ ძალუძს!!!

③



MILLENNIUM CHALLENGE CORPORATION
UNITED STATES OF AMERICA

## მივიღებთ კი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისაგან დახმარებას?

⑧

## არასამთავრობო მანტიას ამოფარებული თაღლითი



⑤

## რა რისკი ახლავს საქართველოში ბურების ჩამოსახლებას?

② თურმე ბინის ქირასაც ჩვენ ვუხდით და ისინი ინვესტიციის ჩამდებები არიან?!



## ოპოზიციაში დაწყებული სკანდალის ④ პერიპეტიები,

ანუ დაიწყება სახალხო გამოძიება ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის დაპირისპირებაზე?



## ნოღაიდელს სასამართლოში ③ უჩივიან

## წყალტუბოს კულტურის ბიუჯეტი ნაციონალთა ჯიბეში მიდის

②

### ფრაზა დღის ამფრაზურიდან

მიხეილ სააკაშვილი: - აქამდე პროკურატურა შედიოდა ბიზნესში, ახლა უკვე ბიზნესი შედის პროკურატურაში!..

*(სიღნაღში თ. ჭყონიას მიერ აშენებული ახალი სასტუმროს გახსნისას წარმოთქმული სიტყვიდან. სასტუმრო ყოფილ პროკურატურის შენობაში დაფუძნდა).*

## სააკაშვილი ფილოსოფიაში გაიჭრა და მომენტალურად ჩაიჭრა

⑤

## რისთვის გაიქცა სამშობლოდან და რატომ დააპატიმრეს რუსეთში „საქართველოს დემოკრატიულ პარტიას“ ამოფარებული უშიშროების ყოფილი მინისტრის ვაჟი?

## პირველ მსოფლიო ომში ბელარუსში დაღუპული გმირის, პოლკოვნიკ აკაკი ოთხმეზურის ლეგენდარული გმირობა

⑥

◉ საით მივდივართ?

# პაატა კოღუაშვილი: ბურები ინვესტიციას ჩადებენ კი არა, მათ, დასათვალიერებლად ჩამოსულებს, ბინის ქირასაც საქართველო უხდის



**საქართველოს მთავრობის პროექტი, სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ჰოლანდიელი ფერმერების, ბურების ჩამოსახლებასთან დაკავშირებით, უკვე ამოქმედდა. ხელისუფლების განცხადებით, ბურები ქართულ აგრარულ სექტორში ინვესტიციების ჩადებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას და თავიანთი გამოცდილების გადმოტანას აპირებენ, რაც ქართული სოფლის მეურნეობის აღორძინებას შეუწყობს ხელს.**

**რას მოუტანს ეს პროექტი ქვეყანას და რა რისკები ახლავს თან? — ამ საკითხებზე საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ექსპერტს სოფლის მეურნეობის დარგში პაატა კოღუაშვილს ესაუბრა.**

**— ბატონო პაატა, ბურები თავიანთი გამოცდილებით და ინვესტიციებით რამდენად შეძლებენ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღორძინებას?**

— არავითარი გამოცდილების გადმოტანა მათ არ შეუძლიათ, რადგანაც ბურებმა არაფერი იციან ქართველ გლეხებზე მეტი. უკანასკნელი 20 წელიწადია, ქართველ გლეხს არ მივეცით საშუალება, თავისი შესაძლებლობები გამოავლინოს. ის, პრაქტიკულად, გალატაკებული და თითივით გალოკილია. მას არ დავხმარებივართ არაფერში, გარდა იმისა, რომ გადავუგდეთ ერთი ჰექტარი მიწა და ქვეყნის გამოკვების მთელი პასუხისმგებლობა ავკიდეთ. ახლა კი ვაცხადებთ, რომ ქართველი გლეხი უმაქნისია და სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად ბურების ჩამოსახლება და მათი გამოცდილების გადმოტანაა საჭირო.

**— როგორც ამბობენ, ბურები ქართულ აგრარულ სისტემაში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას გეგმავენ.**

— თანამედროვე ტექნოლოგიები ქართველ გლეხსაც რომ მივცეთ, ის ნებისმიერი მაღალი რანგის ევროპელ გლეხსა და ფერმერზე მეტს გააკეთებს. ჩვენ არ ვაძლევთ ქართველ გლეხს არც ინვესტიციას და არც არაფრით ვეხმარებით. საერთოდ, ასეთი საკითხის გადაწყვეტა ასე უბრალოდ არ ხდება. პრობლემა ისაა, რომ ერთ დილით გაიღვიძა მთავრობამ და ასეთი აზრი მოუვიდა თავში. ჩავიდა სახელმწიფო მინისტრი აფრიკაში და უთხრა ამ ბურებს, ჩამოდით ჩვენთანო. ასეთი გადაწყვეტილებების მიღებისას მთავრობა ვალდებულია, საკუთარ ერს მინიმუმ აზრი მაინც დაეკითხოს. უნდა ეკითხათ, სურს თუ არა ქართველ ხალხს, მიიღოს სხვა ტრადიციის, სხვა ხასიათის უცხო ტომელი 40 000 ოჯახი? ასეთი საკითხების გადაწყვეტის დროს, როგორც წესი, დემოკრატიული მთავრობები რეფერენდუმს ატარებენ ხოლმე.

**— ხელისუფლება აცხადებს, რომ ეს ხალხი საქართველოში ინვესტიციების ჩადებას აპირებს. ისეთ მნიშვნელოვან დარგში, როგორიც სოფლის მეურნეობაა, ინვესტიციების ჩადება ცუდი რატომ უნდა იყოს?**

— არავითარი ინვესტიციების ჩადებას ისინი არ აპირებენ. ტყუილია ეს. ინვესტიცია კი არა, ახლა დასათვალიერებლად ჩამოსულები რომ არიან, ბინის ქირასაც საქართველოს მთავრობა უხდის.



**— მაშ, რა საჭირო იყო მათი ჩამოსახლება, რა სარგებელს მოუტანს ეს ინიციატივა ჩვენს ხელისუფლებას?**

— ჩვენ გვაქვს აღებული უზარმაზარი პასუხისმგებლობა დასავლეთის წინაშე, ევროკავშირის წინაშე. სხვათა შორის, ამ პასუხისმგებლობას ხელი მოაწერა საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ. ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 100 000 ე.წ. თურქი მესხი კარზეა მომდგარი.

**— ანუ თქვენ გულისხმობთ, რომ ბურების ჩამოსახლების ინიციატივით მხოლოდ და მხოლოდ დასავლეთს ასიამოვნეს?**

— არავითარი დასავლეთი! ეს კიდევ ერთი კაპრიზია. დავით აღმაშენებლის მიმბაძველობით აკეთებენ ყველაფერს. აკვიატებად აქვთ ქცეული, მაგრამ არ უფიქრდებიან, ეს რას მოუტანს ქვეყანას, რადგან საქართველოში ყველაფერი დიდებული და აღმშენებლური დაკავშირებულია დავით აღმაშენებელთან, ჰგონიათ, რომ ყველა მისი გადაწყვეტილება სასიკეთო იყო. ეს არის სიმბოლური, 40 000 ყივჩაღი და 40 000 ბური. მათ უნდა იცოდნენ, რომ ყივჩაღების უდიდესი ნაწილი საქართველოდან გაძევებულ იქნენ, რადგან მათ დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ ორჯერ მოაწყვეს შეთქმულება. ისინი ვერ შეეწყვნენ საქართველოს იმიტომ, რომ ვერ გაიგეს ჩვენი ეთნოფსიქოლოგიური და კულტურული მაჩვენებლები. ვერც ბურები გაიგებენ. ასე არ ხდება, გაიღვიძო და მოგივიდეს აზრი თავში, რომ ქართველი გლეხი უვიცია, გაუნათლებელია, ტლუა და ამიტომ აფრიკიდან უნდა ჩამოვუყვანო ფერმერები, რომ რამე ასწავლონ. ნურას უკაცრავად! **ქართველი** — ეს არის ბურჯი და რეზერვი ქვეყნის შენებისა, ეს არის იმედი ქართული სახელმწიფოებრიობისა. ეს უნდა გაიგოს ყველამ!

ბურები ვერ იცხოვრებენ ქართველების გვერდით. წარმოუდგენელია ამხელა მასის მიღება. სად გინდა, რომ ჩაასახლო და როგორ? ამ პროცესს, სერიოზული პრობლემები და დაპირისპირებები მოჰყვება.

მედიანიუსი

◉ ინფორმაცია

## წყალტუბოს კულტურის ბიუჯეტი ნაციონალთა ჯიბეში მიდის

**„თავისუფალი დემოკრატები" ხელისუფლებას წყალტუბოს რაიონში კულტურის ცენტრების ბიუჯეტიდან „ნაციონალური მოძრაობის" წევრების დაფინასებაში ადანაშაულებენ.**

**ამის შესახებ ნათქვამია „თავისუფალი დემოკრატები - ჩვენი საქართველოს" განცხადებაში.**

**— წყალტუბოს რაიონში 37 ბიბლიოთეკიდან 33 იხურება. ეს გადაწყვეტილება რაიონულმა გამგეობამ და საკრებულომ 2010 წლის დეკემბრის ბოლოს მიიღო. ამ დრომდე გაურკვეველია რა ბედი ეწევა დარჩენილ 4 ბიბლიოთეკას, ასევე 400 ათასზე მეტ წიგნს. სამსახურის გარეშე რჩება 39 თანამშრომელი. ხელისუფლების გადაწყვეტილებით იხურება აკაკი წერეთლის მიერ პირადად გახსნილი ბიბლიოთეკა სოფელ ქვედა ქვიტირში. ასევე 1908 წელს გახსნილი ბიბლიოთეკა სოფელ მუხიანში, — ნათქვამია განცხადებაში.**

**ამასთან, „თავისუფლი დემოკრატების" ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ წყალტუბოს რაიონში ბიბლიოთეკები იხურება, ადგილობრივი ხელისუფლება კვლავ განაგრძობს კულტურის სახლების დაფინასებას.**

**— 15 სახლიდან 7 მხოლოდ ფურცელზე არსებობს, თუმცა ადგილობრივი ბიუჯეტიდან მაინც ფინანსდება. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ამ გზით რაიონული ბიუჯეტიდან ხელფასს სოფლებში ნაციონალური მოძრაობის კოორდინატორები იღებენ. მოვითხოვთ ხელისუფლებამ ახსნას რა კულტურ-საგანმანათლებლო პოლიტიკას აწარმოებს ქვეყანაში და კერძოდ წყალტუბოს რაიონში. რას უპირებს უნიკალურ წიგნებს და უმუშევრად დარჩენილ ათობით ადამიანს. მოვითხოვთ მაქსიმალურად შენარჩუნდეს ბიბლიოთეკები და ამით კულტურულ-საგანმანათლებლო კერები რაიონში, — ნათქვამია პარტიის განცხადებაში.**

## რატომ ათავისუფლებენ პედაგოგებს?

**თბილისის 182-ე საჯარო სკოლაში პედაგოგთა განთავისუფლებასთან დაკავშირებით, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი აცხადებს, რომ აღნიშნული ფაქტის შესწავლის მიზნით შეიქმნა სპეციალური კომისია.**

**— მიგვაჩნია, რომ განათლების სფეროში პრობლემების მოგვარება უნდა ხდებოდეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და განათლების პროფკავშირს შორის სოციალური დიალოგის გზით. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი შეეცდება 182-ე საჯარო სკოლაში წარმოქმნილი პრობლემის მოგვარებას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. თუ მასწავლებელთა შრომითი უფლებები დაირღვა და დიალოგის გზით ვერ მოხერხდა საკითხის მოგვარება, ჩვენ მივმართავთ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობით და მივაწოდებთ მათ რეალურ ინფორმაციას, — აღნიშნულია პედაგოგთა და მეცნიერთა პროფკავშირის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ იძულება

# გაქცევა სამშობლოდან



***„საქართველოს დემოკრატიულ პარტიაში" არავინ იცის, ვინ არის გივი ქუთათელაძე, რომელიც თავს ამ პარტიის აქტივისტად ასაღებს. საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვაჟის პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ არც პარლამენტში იციან რამე.***

***„პირველი" დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ აკაკი ფანჩულიძეს ესაუბრა, რომელმაც პარტიის სააღრიცხვო სიების გადამოწმების შემდეგ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ გივი ქუთათელაძე პარტიის აქტივში არ ირიცხება.***

***ამასთან, ფანჩულიძის თქმით, „პარტიაში ქუთათელაძის შესახებ არავინ არაფერი იცის".***

***„პირველი" გივი ქუთათელაძის პოლიტიკური საქმიანობის და ორიენტაციის შესახებ ინფორმაციის მოძიებას პარლამენტშიც შეეცადა, მაგრამ ვერაფერი მოიძია.***

შეგახსენებთ, რომ კრასნოდარის სამხარეო სასამართლომ საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვაჟს გივი ქუთათელაძესა და მასთან ერთად დაკავებულ ალექსანდრე ვეფხვაძეს განაჩენი გამოუტანა. სასამართლომ ისინი რუსეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთაში დამნაშავედ სცნო და შესაბამისად, თავისუფლების 2,5 და 3 წლით აღკვეთა მიუსაჯა სასჯელის საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

დაკავებულებმა აღიარეს, რომ საზღვარი გადაკვეთეს, თუმცა აღნიშნეს, რომ **„ეს იძულებითი ნაბიჯი იყო და რუსეთისთვის პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართვას ისახავდა მიზნად, რამდენადაც თავადაც და მათი ოჯახებიც სააკაშვილის რეჟიმის მიმართ ოპოზიციურად არიან განწყობილები და ხელისუფლების სტრუქტურების მხრიდან ზეწოლას აწყდებიან". „ჩადენილ დანაშაულს ვაღიარებ, თუმცა ეს იძულებით ჩავიდინე"**, — განაცხადა 30 წლის მეწარმე გივი ქუთათელაძემ.

მისი ადვოკატის განმარტებით კი, **„გივი ქუთათელაძის მამა საქართველოში მაღალ თანამდებობას იკავებდა და შევარდნაძის პირადი დაცვის ხელმძღვანელი იყო, თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ კი საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე ღიად საუბრობდა და ქვეყნის პირველი პირებისგან არაერთხელ მოუსმენია, რომ ისეთი ადამიანები, როგორიც თვითონ და მისი შვილია, ახლანდელი ხელისუფლებისთვის სასარგებლონი არ არიან".**

მისივე მტკიცებით, **„გივი ქუთათელაძეზე, რომელიც „საქართველოს დემოკრატიული პარტიის" მიტინგებსა და შეკრებებში მონაწილეობდა, ბოლო პერიოდში გარე თვალთვალი ხორციელდებოდა და რამდენ ხანს დარჩებოდა იგი თავისუფალი, უკვე გადაწყვეტილი იყო".**

რაც შეეხება მეორე დაკავებულს ალექსანდრე ვეფხვაძეს, ბოლო სიტყვაში მანაც აღნიშნა, რომ **„საქართველოში რთული პოლიტიკური სიტუაციაა და ბოლო პერიოდში მისი, მისი ნაცნობებისა და ნათესავების წინააღმდეგ რეპრესიები ხორციელდებოდა".**

აღსანიშნავია, რომ სამხარეო სასამართლოს დეტალურად არ განუხილავს, კონკრეტულად რომელმა მოვლენებმა აიძულა ვეფხვაძე და ქუთათელაძე, ქართველ სამართალდამცველებს დამალვოდნენ.

თავად ვეფხვაძის ვერსიით, გასული წლის აპრილში იგი მეგობრებთან ერთად თბილისის ერთ-ერთ კაფეში დაბადების დღეს აღნიშნავდა, როდესაც ქუჩიდან ხმაური შემოესმათ; იგი გარეთ გავიდა, სადაც უცნობი ადამიანები მისთვის ხელბორკილების დადებას შეეცადნენ.

**„ჩავთვალეთ, რომ ინციდენტი ჩვენს პოლიტიკურ ხედვებს უკავშირდებოდა და მიმალვა გადავწყვიტეთ"**, — განაცხადა ვეფხვაძემ, ხოლო როგორ დააღწია თავი ხელბორკილებსა და დაკავებას, არ დაუკონკრეტებია.

რუსი სამართალდამცველების მიერ ინტერპოლის ხაზით მიღებული ინფორმაციის თანახმად კი, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ვეფხვაძემ, ქუთათელაძემ და მათი ნაცნობების ჯგუფმა პოლიციის თანამშრომლებს შეურაცხყოფა მიაყენეს, ჩხუბი აუტეხეს და იარაღი წაართვეს, რის საფუძველზეც ორივე მათგანზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა.

ქუთათელაძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 237-ე მუხლითა (იარაღის უკანონოდ ფლობაძ და 353-ე მუხლის მეორე ნაწილით (წინააღმდეგობის გაწევა ან მუქარა პირთა მიმართ, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს იცავენძ იძებნება, ვეფხვაძე კი — 353-ე მუხლის მეორე ნაწილით.

საქართველოს შს სამინისტრომ მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებისთვის 30 ათასი ლარის ოდენობის ჯილდო დააწესა.

რუსული მედიის ცნობით, გასული წლის აპრილში აღნიშნული პირები საქართველოს ტერიტორიაზე ახლობლებთან იმალებოდნენ, შემდეგ კი რუსეთში წასვლა გადაწყვიტეს.

როგორც საქართველოს მოქალაქეებმა სასამართლოზე განაცხადეს, მათ საზღვარზე გადასვლას უცნობმა ადამიანმა გაუწია ორგანიზება, რომელმაც ისინი ჯერ აფხაზეთში გადაიყვანა, შემდეგ კი ყალბი პასპორტები მისცა და მდინარე ფსოუს გავლით მიმართულება აჩვენა, რომელზეც რუსეთის სახელმწიფო საზღვარი გადის.

გასული წლის 21 სექტემბერს ალექსანდრე ვეფხვაძე და გივი ქუთათელაძე რუსმა მესაზღვრეებმა დააკავეს.

ექსპერტი

# ხელისუფლებას სურსათზე ფასების ზრდის შეჩერება არ ძალუძს





***საქართველოში სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდის შეჩერების შესაძლებლობებსა და ქვეყანაში ტუნისის მსგავსი სოციალური აფეთქების თავიდან აცილების საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკის საკითხებში ნოდარ ხადურს ესაუბრა***

**— ბატონო ნოდარ, სასურსათო პროდუქტებზე ფასების ზრდამ ტუნისში ხელისუფლების ძალადობრივი ცვლა გამოიწვია. გაეროს სასურსათო დეპარტამენტმა მსოფლიო ბაზარზე სურსათზე მოთხოვნისა და, შესაბამისად, ფასების ზრდის გამო შეშფოთება არაერთხელ გამოთქვა. სურსათზე ფასების ზრდის გამო შეშფოთებული არიან ის ისლამური ქვეყნები, რომლებსაც ნავთობი არა აქვთ. რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველოს ხელისუფლებამ, რომ მაქსიმალურად აიცილოს თავიდან როგორც სურსათზე ფასების ზრდა, ისე მისი თანამდევი, სოციალური აფეთქებების ალბათობა?**

— სასურსათო პროდუქციის ნაკლებობის გამო მსოფლიოში მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა შექმნილი. ძირითად სასურსათო პროდუქციაზე ფასები ისტორიულ რეკორდებს აღწევს. ტუნისში და უფრო ადრეც სხვა ქვეყნებში ხელისუფლების ცვლის ერთ-ერთი საბაბი სწორედ სოციალური მოტივი, სურსათზე ფასების ზრდა იყო. მსოფლიო სასურსათო ბაზრისთვის 2010 წელი ძალიან ცუდი იყო. შარშან ზაფხულში, ჯერ ხანძრებმა, შემდეგ გვალვებმა ჩრდილო-დასავლეთ სფერო პრაქტიკულად ხორბლის გარეშე დატოვა. ეს არა მარტო რუსეთს, არამედ უკრაინას და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შეეხოთ. ამან კი, არა მარტო ხორბლის, არამედ სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებზეც ფასების ზრდა გამოიწვია.

აშკარად არამართებულია საუბარი, რისი გაკეთება შეუძლიათ საქართველოს ან სხვა ქვეყნის ხელისუფლებებს სურსათზე ფასების ზრდის შესაჩერებლად. საქმე იმ არის, რომ საქმე გვაქვს ვითარებასთან, როგორც ერთი ცნობილი სპექტაკლის — „როცა ურემი გადაბრუნდება“ სათაურშია მოცემული.

ურემი კარგა ხანია, გადაბრუნებულია, სასურსათო საქონელი ძვირდება და ჩვენ ვდგავართ ისეთი სერიოზული პრობლემის წინაშე, როცა საქართველოს სურსათზე ფასების ზრდაზე რაიმე ზემოქმედების მოხდენა არ შეუძლია. საუბარი არ არის იმაზე, რომ ხელისუფლებამ სუბსიდირება განახორციელოს სასურსათო პროდუქტებზე. იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქცია გვქონდეს, სოფლის მეურნეობა უნდა გვქონდეს განვითარებული. სამწუხაროდ, ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების საკმაოდ დიდი ნაწილი დაუმუშავებელია. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიური დონე ძალიან დაბალია. სამწუხაროდ, ხელისუფლებას არც სურსათზე ფასების ზრდის შეჩერებაზე და არც სოფლის მეურნეობის განვითარებაზე მყისიერი ზემოქმედების მექანიზმები არ აქვს.

**— გასული წლის ბოლოს თქვენ ხელისუფლებას საკანონმდებლო დონეზე სასურსათო უსაფრთხოების კონცეფციის შექმნასა და ქვეყანაში სურსათის მარაგის შექმნის მექანიზმების შემუშავება შესთავაზეთ. თუ გამოგეხმაურათ ვინმე და ამ თვალსაზრისით თუ მიმდინარეობს ქვეყანაში მუშაობა?**

— საუბარი არ არის ჩემს ინიციატივაზე. რაც მე თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, არაერთი ექსპერტი, ეკონომისტი თუ აგრარიკოსი, კარგა ხანია, საუბრობს. ქვეყანას უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული სასურსათო უსაფრთხოების დოქტრინა. ქვეყნის ენერგეტიკული, ეკონომიკური უსაფრთხოებისა და საკუთრივ უსაფრთხოების საკითხების გარდა, არსებობს კიდევ ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, რომელიც ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

სამწუხაროდ, არ ვიცი, მუშაობს თუ არა ვინმე ამ საკითხებზე. დიდი ალბათობაა, რომ, ჯერჯერობით, ეს თემა ხელისუფლებისთვის აქტუალური არ არის. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავთ, რომ ამგვარი დოკუმენტის არსებობის აუცილებლობა ძალიან მნიშვნელოვანია. ეს საჭიროა, თუნდაც იმისათვის, რომ ქვეყანას გააზრებული ჰქონდეს ყველა საფრთხე, რომელიც სასურსათო უსაფრთხოებას შეეხება და ამ საფრთხეების გადაჭრის ან თავიდან აცილების გზები ქვეყანამ იცოდეს.

**— ვითარებაში, როცა ქვეყნის სავარგულების უდიდესი უმრავლესობა დაუმუშავებელია და სოფლის მეურნეობის მრავალი სფერო საერთოდ აღარ ფუნქციონირებს, რა რესურსი არსებობს, რომ სოფლის მეურნეობამ ხელისუფლების მხარდაჭერით შეძლოს ქვეყანაში სურსათის გარკვეული მარაგების შექმნა?**

— მთელი პრობლემა ის არის, რომ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოება მიტოვებული აღმოჩნდა, არ შედის ინვესტორთა ინტერესში. თუ ჩვენ საქართველოში ბოლო 4-5 წლის განმავლობაში შემოსულ ინვესტიციებს გადავხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ინვესტიციების მხოლოდ 1-1,5% მოდის სოფლის მეურნეობაზე. როდესაც ჩვენ ქვეყანაში წახალისებული გვაქვს თავისუფალი ეკონომიკური ინდუსტრიული ზონებისა და თავისუფალი ტურისტული ზონების არსებობა, რატომ არ შეიძლება გვეფიქრა სწორედ აგრარული სფეროს წახალისებაზე. საქართველოში სოფლად ქვეყნის მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს და ამ სფეროში მოსახლეობის თითქმის ნახევარზე მეტია დასაქმებული, ამიტომ სოფლის მეურნეობის წახალისება ერდროულად ნიშნავს პრაქტიკულად საქართველოს მოსახლეობის ნახევრის ცხოვრების დონის ამაღლებას.

სამწუხაროდ, 2004 წლიდან საქართველოში არა თუ გაზრდილია, არამედ მნიშვნელოვნად შემცირებულია სოფლის მეურნეობის განვითარება და, პრაქტიკულად, კატასტროფულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. ხელისუფლება, ახორციელებს იაფი კრედიტის პროგრამას, ამ პროგრამის ძალიან დიდი ნაწილი სწორედ სოფლის მეურნეობაში უნდა იქნეს მიმართული. სოფლის მეურნეობაში საკმაოდ ლიბერალური საგადასახადო სისტემა გვაქვს. გლეხები, რომლებსაც 5 ჰექტრამდე აქვთ მიწის ნაკვეთი, პრაქტიკულად ყველა გადასახადისაგან გათავისუფლებული არიან. მაგრამ, როგორც ჩანს, საგადასახადო შეღავათების არსებობა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საკმარისი არ არის. მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ მკვეთრად ჩამოაყალიბოს პრიორიტეტები, ანუ რომელი დარგები სჭირდება და ამ დარგებში ბანკების მეშვეობით მოახდინოს გარკვეული დაკრედიტება. საბანკო სისტემისთვის სოფლის მეურნეობის დაკრედიტება არ არის პრიორიტეტული. პირიქით ბანკები ცდილობენ, არ დააფინანსონ სოფლის მეურნეობა, რადგან სოფლის მეურნეობაში ფინანსების ჩადება დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. აუცილებელია სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო სექტორის განვითარება, ვინაიდან თუ სოფლის მეურნეობას სადაზღვევო სფერო არ დაეხმარა, კლიმატურ პირობებზე დამოკიდებული სოფლის მეურნეობის განვითარება გაჭირდება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყანაში სოფლის მეურნეობის ტექნიკისა და ტექნოლოგიების შემოტანა. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის ძალიან დიდი ნაწილი კავისა და ხარის იმედადაა დარჩენილი. ცხადია, კავისა და გუთნის იმედად ძალიან დიდ მოსავალზე და სოფლის მეურნეობაში დიდ გარღვევაზე საუბარი, ზედმეტია.

**— რა შედეგს შეიძლება ველოდოთ იმისაგან, რომ პირველი იანვრიდან ბოსტნეულის ზოგიერთი სახეობის შემოტანაზე საბაჟო გადასახადი გაიზარდა?**

— აქ უნდა განვასხვავოთ ასეთი რამ, ჩვენ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გვაქვს დადებული რამდენიმე ქვეყანასთან — თურქეთთან, რუსეთთან, უკრაინასთან, ანუ, მიუხედავად იმისა, თუ რამდენად გაიზარდა გარკვეული სახის შემოტანილ ბოსტნეულზე საბაჟო გადასახადი, ამ ქვეყნებიდან შემოტანილი ბოსტნეული საბაჟო გადასახადით საერთოდ არ იბეგრება. მეორე მხრივ, თუ ამ ქვეყნებიდან შემოტანილი ბოსტნეულის რაოდენობა გაიზარდა, ეს აპრიორი ნიშნავს, რომ მასზე ფასი კიდევ უფრო გაიზრდება. შესაძლოა, ეს შემდგომში სტიმული გახდეს ადგილობრივი მწარმოებლისთვის, რომ ზუსტად ის ბოსტნეული აწარმოოს, მაგრამ სოფლის მეურნეობაში საკმაოდ დიდი დრო სჭირდება მოსავლის მოყვანას. მინიმუმ, გაზაფხულზე უნდა მოიხნას, დაითესოს, რომ შემდეგ შემოდგომაზე იქნას მოსავალი მიღებული. ამიტომ, იანვარში ასეთი გადაწყვეტილებების ეფექტიანობასა და მარტივ პროტექციონიზმზე საუბარი ალბათ, მაინც გაუმართლებელია, ვინაიდან, ეს ბაზარზე მხოლოდ საქონლის გაძვირებას გამოიწვევს.

**— სავარაუდოდ, რა ნაბიჯების გადადგმა შეუძლია ქვეყანას შიდა ბაზრისა და ადგილობრივი მწარმოებლის დასაცავად?**

— ჩემი აზრით, ერთადერთი, ყველაზე ღირსეული და გამართლებული ნაბიჯი იქნებოდა შემოტანილ საქონელზე ხარისხის კონტროლის დაწესება. საქართველოს პროდუქციის ევროკავშირის ქვეყნებში შეტანა ხარისხობრივი პარამეტრების გამო გართულებულია. მართალია, რუსეთის მხრიდან საქართველოს საქონლის რუსეთში აკრძალვას წინ პოლიტიკური გადაწყვეტილება უძღოდა, მაგრამ ოფიციალურად რუსულ მხარეს ჩვენი პროდუქციის რუსეთის ბაზარზე მოხვედრა სწორედ ხარისხის გამო აქვს აკრძალული.

ამ მექანიზმის ამოქმედება საშუალებას მოგვცემდა, ჩვენი ბაზარი იაფი და ამავდროულად უხარისხო პროდუქციისაგან დაგვეცვა. რაც შეეხება საქართველოში იაფი და ხარისხიანი პროდუქციის შემოტანას, ეს, ჩემი აზრით, ხელს შეუწყობს კონკურენციის წახალისებას. საჭიროა, რომ საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი არ იქცეს უხარისხო და მავნე საქონლის გასაღების ბაზრად. ეს კი ჩვენთვის დღეს ძალიან მნიშვნელოვანია.

**კობა ბენდელიანი**

კონფლიქტის ზონა

# „ქართულ-აფხაზური დიალოგი“ გაგრძელდება!

1992-93 წლების დაპირისპირებამდე აფხაზეთში 20 000-მდე ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახი ცხოვრობდა, რაც აფხაზეთის მოსახლეობის 41 პროცენტს შეადგენდა. ამ დაპირისპირებამ განსაკუთრებით ეს ოჯახები დააზარალა. არასამთავრობო ორგანიზაციამ „ქართულ-აფხაზური შერეული ოჯახები“, რომელიც 2003 წელს დაარსდა (ხელმძღვანელი — რეზო ბენდელიანი) 4000-ზე მეტი ქართველი და აფხაზი შერეული ოჯახების წარმომადგენლები შეახვედრა ერთმანეთს. ეს პროცესი ბოლო ხანს შეჩერებული იყო, მაგრამ რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ეკა ტყეშელაშვილის ბრძანებით „ქართულ-აფხაზურ ოჯახებს“ მიეცა თანხმობა, განახორციელონ პროექტი „ქართულ-აფხაზური დიალოგი“, რომელიც ქართველი და აფხაზი შერეული ოჯახების წევრების, ქართველი და აფხაზი ნათესავების შეხვედრების მოწყობას ითვალისწინებს (რაც შეეხება ჩემს მიერ ამ ცოტა ხნის წინათ გავრცელებულ ინფორმაციას სავაჭრო ობიექტების, ბაზრობების გახსნის შესახებ ენგურისპირა სოფლებში, ჯერჯერობით არ იგეგმება. — ლ.ქ.ძ.

ზუგდიდის რაიონის ენგურს გაღმა მდებარე სოფელ ხურჩაში ამ საკითხთან დაკავშირებით მოეწყო საგანგებო სემინარი, რომელსაც ენგურისპირა სოფლების მცხოვრებლები, ქართველი და აფხაზი შერეული ოჯახების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

„რაც აქ მოვისმინე ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის შესახებ, არაფრისმთქმელი ფრაზებია. იმის მაგივრად, რომ ჩვენ დაგვაფასონ, რისკის ქვეშ ვმუშაობთ, სეპარატისტებს გვეძახიან. არც ქართველებისგან და არც აფხაზებისგან ჯეროვნად არავართ შეფასებულები“, — განაცხადა ქალბატონმა ნონა თარბაიამ.

„ჩვენ საქართველოს ხელისუფლებას მხოლოდ მაშინ ვახსენდებით, როცა არჩევნებია. არადა აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ქართველებს გამორჩეული, განსაკუთრებული მიხედვა სჭირდება“, — თქვა გალის რაიონის მკვიდრმა, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამხელა.

ორივენი ცამდე მართლები არიან!

**ლადო ქირია,**
ზუგდიდი

ინფორმაცია

# ნოღაიდელს სასამართლოში უჩივიან



**ზურაბ ნოღაიდელს** სასამართლოში უჩივიან. ამ გზით ექს-პრემიერთან დაპირისპირებული გუნდი ფინანსური დავალიანებების ამოღებას შეეცდება. ნოღაიდელის მოწინააღმდეგეები ექს-თავმჯდომარის ფინანსური დოკუმენტაციის გადმოწმებას ითხოვენ.

სარჩელი მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ახალმა ლიდერმა სერგო ჯავახიძემ თანამოაზრეებთან ერთად მოამზადა და ის სასამართლოში შეიტანეს. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრები ამბობენ, რომ მოთხოვნის მიუხედავად ნოღაიდელმა მათ ფინანსური დოკუმენტაცია არ მისცა. ამიტომ ყოფილ პრემიერთან დაპირისპირებული გუნდი ფიქრობს, რომ „სამართლიანი საქართველოს“ ექს-ლიდერს ფინანსური დარღვევების აღმოჩენის ეშინია.

შეგახსენებთ, რომ რიგგარეშე ყრილობა, სადაც ნოღაიდელი თავმჯდომარის პოსტიდან ოფიციალურად გადააყენეს, სწორედ ვალების გამო ჩატარდა. მოძრაობის წევრები, ნოღაიდელს თვეობით დაგროვილი ხელფასების გასტუმრებას სთხოვენ.

ჯი-ეიჩ-ენი

ხედვა შორიდან

# შეგნებულად აგორებული სკანდალის ირგვლივ

**მისი მისამართით ოქრუაშვილის მიერ საკმაოდ როყიოდ ნათქვამზე ყველაფრის გადაბრალება, როგორც ამას ბურჯანაძე ცდილობს (თითქოს იგი ყოფილიყოს მისი სკანდალური ნაბიჯის გადადგმის მიზეზი), მხოლოდ თავის მართლების უსუსური ცდაა, რადგანაც ვერ ხსნის ვერც ოპოზიციონერებზე თავდაუსხმელობის საკუთარი პრინციპიდან გადახვევას და ვერც შეურაცხყოფის მომყენებლის ნაცვლად უდანაშაულო კაცზე შეტევას, და ვერც – ასეთ კაცზე ქმართან ერთად უწესო მეთოდით თავდასხმას. ამიტომ, ყველაზე დიდი ალბათობით, დასაშვებია კონკურენციის შიში „ქართული პარტიის" და გაჩეჩილაძის მხრიდან. თუ მოხერხდებოდა მოუსყიდავი და საპრეზიდენტო არჩევნებში ფაქტობრივად გამარჯვებული გაჩეჩილაძის საჩვენებელი გასვრა, მერე „ქართულ პარტიასაც" ადვილად ჩაძირავდა, იტყოდა: ხომ ხედავთ, რა კაცი ყოფილა სინამდვილეში გაჩეჩილაძე, და თქვენ სახელგატეხილ ოქრუაშვილ-კიწმარიშვილს ენდობითო? სუბარსაც გაუხსენებდა „თავისუფლების ინსტიტუტელობას" და კოკა გუნცაძესაც გამოუჩხრეკდა რამეს (რაღაც შეცდომა ყველასა გვაქვს ჩადენილი ცხოვრებაში, შეცდომა და არა – „ჩაჭრა" რასაც ჰქვია!).**

უწესო იმიტომაა ეს თავდასხმა, რომ, თუ სიმართლის მთქმელი ქალია ბურჯანაძე და მამაკაცებზე არანაკლები ვაჟკაცი (როგორც თავის თავს ახასიათებს!), მაშინ რატომ დაიმალა მთელი კვირა, რატომ უარყოფდა სკანდალურ ინფორმაციასთან კავშირს, რატომ უბიძგა ჟურნალისტს ანონიმური წერილის დაწერისკენ?! პარტიის ლიდერი მეორე პარტიის ლიდერს ჟურნალისტის ზურგსუკან ამოფარებული ებრძოდეს, ჩირქს სცხებდეს, ეს მიაჩნია მას ვაჟკაცობად?! ერთი კვირის შემდეგ თუ შეიძლება კორუფციულ გარიგებაზე უშიშრად და ორ ხმაში (ქმართან ერთად!) საუბარი, თავიდანვე ამ ნაბიჯის გახსნილად გადადგმა – პრესკონფერენციის მოწყობა დაუშალა ვინმემ? საკუთარი პირით გამჟღავნებულს ხომ გაცილებით მეტი ფასი ექნებოდა! მაგრამ ვინმეს, მით უფრო უცხოელს, დამადასტურებელი საბუთი რომ მოეთხოვა ან ეკითხა – მეორე პრესკონფერენციაზე გაჩეჩილაძემ თქვენზე რომ უარესი რამ თქვას, რას გვირჩევთ, სიტყვაზე დავუჯეროთო?

რაც ზემოთ ჩამოვთვალე – შედეგები თუ შეკითხვები, გამორიცხულია თავად ბურჯანაძეს არ გაეთვალისწინებინა, და სწორედ ამ მოსალოდნელი გართულებებისთვის თავის არიდების მიზნით იმალებოდნენ ის და მისი მეუღლეც. მაგრამ არც ის იყო ძნელი მისახვედრი, რომ ადრე თუ გვიან, ყველაფერი გამოაშკარავდებოდა, რომ ხუბუას არავინ შეარჩენდა უტიფარი ანონიმური წერილის დაბეჭდვას და ინფორმატორის არდასახელებას. ისევ კითხვა იბადება:

**მაშ რა მოიგო ბურჯანაძემ თითქმის ერთი კვირა ვაჟკაცურ „მიმალვაში" ყოფნით?**

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბურჯანაძე-ბიწაძის ტანდემის გამომჟღავნებამდე გაურკვეველ ვინმეს ან „უბედურ" შემთხვევას ემსხვერპლა ჟურნალისტი ხუბუა. ვისზე იფიქრებდნენ, პირველ რიგში? აი, ეს შესაძლო ვარიანტი სწრაფად მოტვინეს „ქართულ პარტიაში" და მყისვე საჯაროდ(!) გააფრთხილეს ხუბუა მოსალოდნელი საფრთხის თაობაზე (კახა მიქაიას პირით). დარწმუნებული ვარ, ხუბუამაც მიიღო სიფრთხილის ზომები, სანამ ბიწაძის ინტერვიუ იხილავდა დღის სინათლეს. ამის შემდეგ კი უკვე აზრი ეკარგებოდა ჟურნალისტის თავიდან მოცილებას, მოვლენები აუცილებლად სხვაგვარად განვითარდებოდა. ესაა მხოლოდ ლოგიკაზე დამყარებული ახსნა, უტყუარი ახსნა კი, თუ რატომ იმალებოდა, თავად ბურჯანაძეს ექნება!

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ" № 12.

**„მე ჩემი ხალხი არასოდეს არ მომიტყუებია",** ანუ ყოველთვის სიმართლეს ვეუბნებოდიო, მთელი საქართველოს გასაგონად განაცხადა ბურჯანაძემ ტელეინტერვიუში ეკა კვესიტაძესთან.

საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებას რომ არ აღიარებს სიმართლის მთქმელი ქალი, ეს ხალხის მოტყუება არ არის?! როცა ამის თაობაზე ხმას არ იღებ არათუ ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, არამედ ოპოზიციაში გადასვლის შემდეგაც (მიუხედავად ოპოზიციის სხვა ლიდერების მხრიდან თხოვნა-შეხსენებისა), ამას ხალხის მოტყუება არ ჰქვია?!

სოდის, კუდის და ზონდერების, 20-35 წლის ჯეელი ბიჭების წინ რომ დადგები ამაყად და 7 ნოემბრის საპროტესტო დემონსტრაციაზე გამოსულ ხალხს – ათეულ ათასობით ქალს, კაცს, მოხუცს, ახალგაზრდას, ბავშვებით მოსულებს განუცხადებ: არც მასეა საქმე, თქვენ რომ გგონიათ, აი, შემოგვხედეთ, მომხრეები ჩვენც (ანუ ხელისუფლებას!) გვყავსო, ეს მოტყუებაზე უარესი არ არის?!

**ხალხის 15-მილიონიან ქონებას რომ იჩუქებ ერთ ლარად და თან დააყოლებ: რა მოხდა, რა გიკვირთ, ამდენი წელი პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი, ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელიც და არ მეკუთვნისო?! ამას სიმართლის თქმა ჰქვია, თუ – მოტყუება, გაძარცვა და ტექნიკურად აღებული ქრთამი?! იქნებ მსგავსი პრეცედენტი, თუნდაც მეათასედი ღირებულების საჩუქრის ოფიციალურად მიღებისა, იცოდეს მან რომელიმე სახელმწიფოს ისტორიიდან?**

ახლა, ლევან გაჩეჩილაძეზე მოგახსენებთ.

მე არ მაქვს უფლება, ვამტკიცო – აიღო ფული გაჩეჩილაძემ, თუ – არ აიღო, მაგრამ რაც შეეხება გარიგებას, უფრო ზუსტად, შეთანხმებას (გარიგებას უფრო სხვა, როგორც წესი, ფინანსური შინაარსი აქვს!), ამას არც გაჩეჩილაძე უარყოფს. მე მჯერა, რომ მან გაითვალისწინა სააკაშვილის მზადყოფნა სისხლის დასაღვრელად, გაითვალისწინა დიპკორპუსის, უპირველესად, ამერიკის პროსახელისუფლებო პოზიცია, და მათი რჩევაც – მოლაპარაკების გზით განემუხტა არსებული დაძაბულობა. აქედან გამომდინარე, „ეროვნული საბჭოს" წევრებთან ერთად მან გვერდზე გადასდო პირადი ამბიციები, გადაწყვიტა სააკაშვილი დაეთანხმებინა (ინაუგურაციის არჩაშლის სანაცვლოდ) ოპოზიციის წარმომადგენლების მიერ ოთხი საკვანძო პოსტის დაკავებაზე, მათ შორის, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარის, გენერალური პროკურორის, თუნდაც, საკუთარი თავის პრემიერ-მინისტრად დანიშვნაზე (რაც მას სავსებით დამსახურებულად ეკუთვნოდა, გამომდინარე არჩევნების შედეგებიდან) და, თუნდაც, ყბადაღებული საადგილმამულო ბანკის გახსნაზეც.



**ეს შეთანხმება რომ განხორციელებულიყო, ალბათ, ბევრი დარჩებოდა კმაყოფილი, რადგანაც სახელმწიფოს მართვის ბერკეტები ოპოზიციის ხელშიც საკმაოდ აღმოჩნდებოდა და სააკაშვილი ველარ შეძლებდა ერთპიროვნულად მართვას ქვეყნისას. ურიგო ნამდვილად არ იქნებოდა, მაგრამ როგორ შეიძლებოდა თუნდაც ერთი წუთით იმის დაჯერება, რომ სააკაშვილი ამ პირობას შეუსრულებდა ოპოზიციას. არათუ ჩამოთვლილ თანამდებობებს, არამედ ერთ, გენერალური პროკურორის პოსტსაც არ დათმობდა იგი, ეს ხომ ძალზე ადვილად გასათვლელი უნდა ყოფილიყო!**

მაშ, გამოდის, რჩება ერთადერთი – ფულადი გარიგება!

მართალია, იპოდრომიდან 300 000 კაცის რუსთაველზე არწაყვანის გადაწყვეტილება „ეროვნულმა საბჭომ" – 11 პარტიის ლიდერებმა ერთხმად მიიღეს, მაგრამ ჯოხი მაინც გაჩეჩილაძეზე ტყდება, და სამართლიანადაც, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მასაც ერთი ხმა ჰქონდა საბჭოში, იგი იყო მთავარი ლიდერი, ფაქტობრივად გამარჯვებული პრეზიდენტობის კანდიდატი (იგი, თბილისისთვის მაინც იყო პრეზიდენტი!). ამიტომაც, წაიყვანდა თუ არ წაიყვანდა, მოუწოდებდა თუ არ მოუწოდებდა ხალხს, სულერთია, შედეგებზე №1 პასუხისმგებელი ის უნდა ყოფილიყო და არაფერია გასაკვირი იმაში, თუ ხალხი მას სთხოვს პასუხს, მას ადანაშაულებს, და არა – საბჭოს დანარჩენ 10 წევრს კოლექტიურად. ვფიქრობ, გაჩეჩილაძე იმ პერიოდის გამოკვეთილი ლიდერი რომ არ ყოფილიყო, იგი უფრო წავიდოდა გამწვავებაზე, და აი, რატომ. 2008 წლის 20 იანვარს მისი მოწოდება იმავე დროს საკუთარი თავისთვის(!) მოწოდება იქნებოდა, ვინაიდან ერთადერთი მოთხოვნის – მეორე ტურის მიღწევას მისი გაპრეზიდენტება მოყვებოდა უცილობლად. თავისი ნაბიჯით („ეროვნულ საბჭოს" აღარ ვახსენებ მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელ დღეს იპოდრომის მიტინგთან და აგორებულ სკანდალთან დაკავშირებით აქცენტი გაჩეჩილაძეზეა გაკეთებული, ისაა ყურადღების და კრიტიკის ქარცეცხლის ცენტრშიც!) გაჩეჩილაძემ ნებაყოფლობით თქვა უარი პრეზიდენტის პოსტზე მხოლოდ იმიტომ, რომ მეორე ტურის მოთხოვნას, ანუ ფაქტობრივად მის გაპრეზიდენტებას, შეიძლება, ბევრი ადამიანის სიცოცხლე შეეწირვოდა.

ბევრი, ალბათ, დაუფიქრებლად შემომედავება: ხალხი, გაჩეჩილაძისთვის კი არა, თავისი თავისთვის იბრძოდაო. და ნაწილობრივ მართალნიც იქნებიან. ნაწილობრივ, რადგან ყოველი ადამიანი თავის თავზე ფიქრობს, ანუ თავის თავზე ზრუნავს ერთი ღირსეული ადამიანის თავის მეშვეობით, იქნება ეს პრეზიდენტი, მეფე თუ სხვა, და ამ ერთის არჩევისთვის იბრძვის, ამ ერთის იმედი აქვს, თორემ ცალ–ცალკე თავით, საკუთარ თავზე ფიქრით პრობლემას ვერასოდეს ვერ გადაწყვეტს, რამდენიც არ უნდა იყოს ეს დაცალკევებული თავი.

დავუშვათ, მიტინგი ინაუგურაციის დროისთვის დაემთხვიათ და პირდაპირ რუსთაველისკენ წაეყვანა გაჩეჩილაძეს ხალხი, მაგრამ მეორე ტურის მიღწევის ნაცვლად სასტიკი, სისხლიანი დარბევა „მოემკა", 7 ნოემბერზე ბევრად უარესი. ეს ადვილად პროგნოზირებადი იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ მობილიზებული იყვნენ არა მარტო საპოლიციო, არამედ სამხედრო ნაწილებიც, გასათვალისწინებელი იყო ამერიკის აშკარა პროსააკაშვილისეული პოზიციაც. არ შეიძლება არ დაეთანხმო ბ-ნ გოგა ხაინდრავას: „დარწმუნებული ვარ, მთელი მსოფლიო ტაშს დაუკრავდა სააკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ჩვენს წინააღმდეგ განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობას"! ტაშს პირდაპირ არა, მაგრამ ფაქტობრივად იგივე ტაში გამოვიდოდა, როცა მხოლოდ მშრალი ინფორმაციის სახით გაახმოვანებდნენ ამ დარბევას და თავიანთ ჩვეულ, მორიდებულ შეშფოთებასაც მოაყოლებდნენ.

**და რას იტყოდა ის ხალხი, ვინც გაჩეჩილაძისთვის ნასროლ ტალახს სიამოვნებით ხვდება და ანონიმური წერილის ავტორ ხუბუას ვაჟკაცობას უქებს? რას იტყოდა და შემდეგს: ხომ იცოდა გაჩეჩილაძემ რაც მოყვებოდა ამ მსვლელობას, ხომ იყო იგი გაფრთხილებული ამერიკის ელჩისგანაც – ნუ გაამწვავებ სიტუაციას და წადი მოლაპარაკებაზე სააკაშვილთან, იგი თანახმაა დათმობებზე წავიდესო; არა, ასე კი არ მოიქცა გაჩეჩილაძე, თავისი პრეზიდენტობის გულისთვის გასწირა ხალხიო! ისე, ასეთნაირ მსჯელობასაც ექნებოდა საფუძველი.**

მაგრამ ფაქტია, შემდგომში განვითარებულმა, საქართველოსთვის ტრაგიკულმა მოვლენებმა დაადასტურა – მაშინდელი პასიურობა შეცდომა ყოფილა, შეცდომა და არა – გაჩეჩილაძის დანაშაული, როგორც ახლა ბევრს სურს წარმოაჩინოს – ფული რომ აიღო, სწორედ ამიტომ გაუშვა ხალხი სახლებშიო. ამგვარად მოწყობილი ტვინის პატრონებს მინდა ვუთხრა: თქვე კაი დედმამიშვილებო, იმ ორ, თუნდაც ხუთ მილიონს (რომელიც სულ ცოტა რამდენიმე პირზე მაინც გატყდებოდა!), მეორე ტური და გაპრეზიდენტება არ ერჩივნა გაჩეჩილაძეს? და თუ ასეთი ფულის ხარბია და თან ტუტუცი, პრეზიდენტის პოსტზე ასჯერ და ათასჯერ მეტს ვერ იშოვნიდა? თუ თვლა და ანგარიში ეშლება გაჩეჩილაძეს?! კაცს, რომელსაც ჯიბეში ედო პრეზიდენტობა მეორე ტურის შემთხვევაში, და რომელმაც ნებაყოფლობით თქვა უარი ამაზე, რათა აეცილებინა მსხვერპლი, ასეთ კაცს აბრალებენ არაკაცობას, ვერ ანსხვავებენ რა ერთმანეთისგან შეცდომასა და ღალატს. ერთი დამისახელოს ვინმემ ხელისუფლებასთან შეკრული ან მიჩოჩებული ოპოზიციური პარტიების ლიდერებიდან ვინმე (ალასანია, თარგამაძე, უსუფაშვილი, გამყრელიძე, თორთლაძე, დავითაია, ბალათურია და სხვა წვრილმანები!), ვისაც იმის მსგავსი ხელკეტი, წიხლი და ტყვია მოხვედრია, რაც ძმებ გაჩეჩილაძეებს. მსგავსი კი არა, საერთოდ არა აქვს არც ერთ ჩამოთვლილს მოხვედრილი არაფერი. იქნებ გაჩეჩილაძეები ნამეტანი დაფარულად არიან შეკრულები სააკაშვილთან და ხალხის გულის მოსაგებად ალახვინებენ და ალახვინებენ თავს და ამტვრევინებენ ნეკნებს (გაიხსენეთ, ლევან გაჩეჩილაძისთვის თავში მოხვედრილი პლასტმასის ორი ტყვიაც მილიციის სამმართველოსთან, სადაც ამ ტყვიებისგან ორმა კაცმა თვალი დაკარგა; და სამმართველოს ეზოში გადასული, ცემით სიკვდილის პირამდე მიყვანილი გია გაჩეჩილაძე!), ოღონდ ხალხმა მათი სააკაშვილთან გარიგების ამბავი არ გაიგოს. ერთი მაგალითი დაასახელოს ვინმემ, როცა ხალხის ინტერესების გამყიდველი და მოღალატე საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში ჩააგდებს მხოლოდ სხვების თვალების ასახვევად, ასეთი „ჭკვიანური" სვლა ჯერ არავის მოუგონია. თავიანთი თვალით ნანახ ამ თავგანწირვას გაჩეჩილაძეებისას ბევრი ადამიანი, რატომღაც, ადვილად ივიწყებს და ადვილად იჯერებს გაგონილს, ნათქვამს, მხოლოდ ნათქვამს!

და მაინც, ჩემი აზრით, ოპოზიციისთვის გაცილებით მომგებიანი – დაკარგული ნდობის აღმდგენი იქნება, თუ გაჩეჩილაძე და სხვებიც „ეროვნული საბჭოდან" დღევანდელი გადასახედიდან შეაფასებენ წარსულ ნაბიჯებს და აუცილებელ კორექტივს შეიტანენ თავიანთ ახსნა-განმარტებებში: მათი მხრიდან საჭიროა გარკვევით თქმა: **2008 წლის 20 იანვრის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა დაგვარწმუნა, რომ ის, რაც მაშინ ყველას – 11-ვე პარტიის ლიდერს სწორ ნაბიჯად მიგვაჩნდა, მთლად სწორი არ ყოფილა. ჩვენ რომ გვცოდნოდა, თუ რა უბედურება დატრიალდებოდა ჩვენს თავს იმავე (განსაკუთრებით!) და მომდევნო წლებში – ყოვლად არასამართლიანი „30 % +1 ხმა" პრინციპით ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები, სხვისი ჭკუით წამოწყებული პროვოკაციული ომი და ამას მოყოლებული 20 % ტერიტორიის დაკარგვა, ასობით ახალგაზრდის უაზრო დაღუპვა, ნაომარი ვაჟკაცებისთვის შარის მოდება და მუხანათურად ჩაცხრილვა თუ წამებით სულის ამოხდა, ათეულ ათასობით გაუბედურებულ–გამათხოვრებული ლტოლვილი, მშვიდობიანი მომიტინგეების თავების დახეთქვა და თვალების დათხრა, უდანაშაულო ხალხის ციხეებში მასობრივად ჩაყრა, ასეულ ათასობით სამამულო ომში დაღუპულთა და შთამომავალთა სულში ჩაფურთხება – მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად აღმართული მემორიალის სისხლიანი აფეთქება და კიდევ ბევრი სხვა, მაშინ არავითარ სამხედრო კორდონებს არ მოვერიდებოდით და ყოველგვარი კომბლების (დღეს რომ მოვუწოდებთ) გარეშეც დილიდანვე შევეცდებოდით ინაუგურაციის ჩაშლას და მეორე ტურის უფლებასაც მივაღწევდით, თუნდაც, სისხლის ფასად.**

ასეთი ახსნა ყველასათვის გასაგები იქნება და მისაღებიც, თან ოპოზიციის დღევანდელი პოზიციის მაჩვენებელიც.

რაც შეეხება უშუალოდ ბურჯანაძე-გაჩეჩილაძის დაპირისპირების ფინალს, მას სამართლიანი წერტილი მხოლოდ ობიექტური გამოძიების შემთხვევაში დაესმება. თითქოს არაფერს განსაკუთრებულს არ ვამბობ, მაგრამ რას ვიგებთ? ბურჯანაძე გამოძიების წინააღმდეგია! გამოძიების პროცესში, მოგეხსენებათ, ათასი რამ ამოტივტივდება ხოლმე და ბურჯანაძემ იცის, რომ სიფრთხილეს თავი არ სტკივა. ვეჭვობ, გაჩეჩილაძემ რომელიმეს (ცოლ-ქმრიდან) შეარჩინოს ცილისწამება. მას წასაგები არაფერი არა აქვს – ან გამართლდება და შელახულ სახელს აღიდგენს (როგორც სუფთა კაცი, და არა – როგორც შეუმცდარი!), ბურჯანაძე და მისი პარტია კი დასამარდება – მას ეგრევე მოიკვეთს სახალხო კრება (მანამდე თუ არ მოიმოქმედა ეს!), ანდა, უარეს შემთხვევაში (შეიძლება, უკეთესშიც, ხალხისთვის!), მას კარგ კამპანიაში მოუწიოს „ჯდომა", თუ, რა თქმა უნდა, სამართალმა პური ჭამა. მაგრამ ეს ვარიანტი დღევანდელი საქართველოს სასამართლოში გამორიცხულია, ბურჯანაძესაც ამის იმედი აქვს. სამაგიეროდ, მას ძალზე აშფოთებს შესაძლო სახალხო გამოძიება, რაც, უნდა მას თუ არა, მაინც შედგება. ამას მოითხოვს გაჩეჩილაძე და ამას მოითხოვს ხალხი – არასუბიექტურად მოაზროვნე საზოგადოება!

**იაკობ ლეჟავა**
**აშშ, იანვარი, 2011 წ.**

სულიერება





# წმინდა სავანეში დავანებული წმინდანის ხატი

გასული წლის მიწურულს, 26 დეკემბერს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II ალსაყდრების 33 წლისთავთან დაკავშირებით, ფაზისის საერო აკადემიის წარმომადგენლებმა — ცოტნეიდელებმა სამების საპატრიარქო ტაძარს შესწირეს ცოტნე ალმსარებლის (ცოტნე დადიანისძ მოვერცხლილ-მოოქროვილი კანონიკური ხატი (ავტორი — ხატმწერი ლაშა კოკაიაძ, რომელიც აკურთხა უწმინდესმა და უნეტარესმა, ფაზისის საერო აკადემიის საპატიო პრეზიდენტმა ილია მეორემ.

...გულმხურვალე ცოტნეიდელთა მოწადინებითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით ასე დაივანა წმინდა სავანეში წმინდანის ხატმა...



„ცრუდიმიტრი“

# არასამთავრობოს მანტიას ამოფარებული თაღლითი

**დღეს საქართველოში უამრავი არასამთავრობო ორგანიზაციაა დარეგისტრირებული. იმდენი, რომ ხშირად თავიანთი საქმიანობით ერთმანეთს უწევენ დუბლირებას, ერთმანეთის არსებობის შესახებ კი არა იციან რა.**

ზოგიერთ არასამთავრობოზე მოსახლეობაში არცთუ სასიამოვნო ხმები ვრცელდება. ამბობენ, რომ ისინი ფულის კეთებით არიან დაკავებული. თავად ისინი კი ყველაფერს ჭორს, ან მათივე მონათესავე (კონკურენტიძ არასამთავრობოების მიერ გავრცელებულ ხმებს უწოდებენ. მაგრამ როგორც ირკვევა, არც მთლად ასეა საქმე.

2005 წელს გურჯაანის სასამართლომ რეგისტრაციაში გაატარა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „კორუფციასა, კონტრაბანდასა და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის კავშირი“. ორგანიზაციის ხელმძღვანელად აირჩიეს ბორის მამისაშვილი.

როგორც „კახეთის საინფორმაციო ცენტრის“ წარმომადგენლებს „კავშირის“ თავდაპირველმა, აწ უკვე ყოფილმა თანამშრომლებმა განუცხადეს, მამისაშვილმა რეგისტრაციაში გატარებიდან მეორე დღესვე დაიბარა თანამშრომლები და „კავშირის“ წევრობის მოწმობის გაცემის სანაცვლოდ თითოეულს 100-100 ლარი გამოართვა. თანამშრომელთა მოვალეობას კომერციული მაღაზიების, ბაზრობების, კერძო საწარმოების შემოწმება წარმოადგენდა. ამის შემდეგ დასახელებული ობიექტების მფლობელები მიდიოდნენ მამისაშვილთან, მართავდნენ მასთან მოლაპარაკებებს. საბოლოოდ კი „კავშირის“ ანგარიშზე „შემოწირულობებს“ რიცხავდნენ. „კორუფციასთან ბრძოლის“ შეფი მათ პროკურატურაში საქმეების გადაცემის მუქარით აშანტაჟებდა.



როგორც ჩანს, მამისაშვილს რაიონულ ხელმძღვანელობაში, ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებში გავლენიანი მფარველები ჰყავდა. მისი საქმიანობის შესახებ ყველამ კარგად იცოდა. სამართალდამცავები კი დუმდნენ.

მამისაშვილს მადა ისე გაეხსნა, რომ საშუალო და წვრილი ბიზნესის წარმომადგენლებს გარდა უფრო სარფიან ობიექტებს გადასწვდა და ჩავარდა კიდეც...

ამჟამად მამისაშვილი წინასწარ პატიმრობაშია. მას სხვისი სახლის გასხვისების ბრალდება აქვს წაყენებული. „კავშირის“ ხელმძღვანელს 4-7 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

**ზაზა ბილიხოძე**

წკეპლიკები

# მიშა ფილოსოფიაში გაიჭრა!

**გაიჭრა და იქვე მომენტალურად ჩაიჭრა. რომელ მიზეზეა საუბარი, ამის ხმამაღლა „გაჟღერება“ (ამ სიტყვაზე „ნაცები“ გიჟდებიან), ვფიქრობ, მკითხველს არ სჭირდება**. ჩვენმა უცხოეთში სწავლა-განათლებამიღებულმა პრეზიდენტმა (მას ევროპასა და ამერიკაში თურმე იმდენი უნივერსიტეტი დაუმთავრებია, ჩამოთვლაც კი უძნელდებაძ ამ შვიდი წლის განმავლობაში, როცა საკუთარ ცოდნა-გამოცდილებას საქართველოს აყვავება-გადემოკრატებას უშურველად ალევდა, პოლიტიკასა და ეკონომიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქვეყნის ძირძველი კულტურიდან და მრავლისმთქმელი ისტორიიდან იმდენი „მარგალიტი“ ამოქექა და გამოამზეურა, რომ მომავალ თაობებს სამხიარულოდ და საანეკდოტოდ კარგახანს ეყოფათ.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სააკაშვილს საქართველოს ისტორიაში საკუთარი ღვაწლის უკვდავსაყოფად ისიც ეყოფა, რომ თამარ მეფის ოსური წარმომავლობის შესახებ მეცნიერთათვის დღემდე უცნობი ვერსია სამზეოზე ამოატივტივა. სულ ახლახან კი, როცა დიდი სახელმწიფოებრივი დატვირთვის მიუხედავად, დრო გამოძებნა და ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის მდიდარ წარსულს ჩაუღრმავდა, პრეზიდენტი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ორი (ქართული და სომხურიძ ეთნოსიდან, ორივე სომხები ვყოფილვართ. მთლად ასე არ უთქვამს, მაგრამ აღარც არაფერი დააკლდა(!ძ.

სრულიად ახალთახალი, ჯერ კიდევ ნამშეუმშრალი გახლავთ ამბავი ფილოსოფიური მარცხისა, რაც ყველაფრის მცოდნე სააკაშვილს ამ ორიოდე დღის წინათ ამერიკაში არაოფიციალური ვიზიტისას შეემთხვა. თქვენ ფრიად საინტერესო იდეალისტი ბრძანდებითო, შეაქო ბატონმა მიხეილმა ერთ-ერთი იქაური სენატორი (გვარი ვერ გავიხსენე. იმდენ სენატორსა და კონგრესმენს ესტურა, ყველას სად დაიმახსოვრებძ მასთან მიღებისას. ეტყობა, უნდოდა ეთქვა, იდეალურიო, და ამის ნაცვლად სრულიად იდეალისტად არ მოგვინათლა ეს ჩვენი ოკეანისგაღმელი მეგობარი?

არის თუ არა იდეალისტი ის სენატორი, ამის თაობაზე მე ვერაფერს გეტყვით (ვერც მიშა, მას თავისი მრავალმხრივი განსწავლულობის გამო, იდეალისტი და იდეალური, უბრალოდ, ერთმანეთში აერიაძ, მაგრამ იდეალიზმი რომ ფილოსოფიური მიმართულებაა, რომელსაც მატერიალიზმის საპირისპიროდ იდეა, ცნობიერება მიაჩნია ყველაფრის საფუძვლად და არა მატერია, ეს უდავო ჭეშმარიტებაა, ჩვენი პრეზიდენტისგან განსხვავებით, ადამიანებმა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში შესანიშნავად იცოდნენ. და, აქედან გამომდინარე, ისიც, რომ იდეალისტი ის ადამიანია, რომელიც იდეალისტური ფილოსოფიის მიმდევარია და არა ის, რომელსაც თავი ამა თუ იმ პარტიის, გნებავთ, ნაცმოძრაობის ვირტუალური იდეებით აქვს გამოტენილი.

ასე რომ, ბატონო პრეზიდენტო, თქვენი ევროპულ-ამერიკული განსწავლულობის მიუხედავად, ძალიან ცდებით, თუ იმ ოკეანისგაღმელი სენატორის დარად საკუთარ თავიც იდეალისტად წარმოგიდგენიათ. იდეალისტობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ თქვენი სახელისუფლებო მოღვაწეობიდან გამომდინარე, უფრო ტოტალიტარიზმისკენ ხომ არ იხრებით?!

**ოთარ ხუციშვილი**

# მინის კოშკები – სვანეთს

**სვანეთში პოლიციის შენობას აშენებენ! ალბათ, მინისგან. თუმც ეს რა საკითხავია; ჩვენში ხომ ყველა პოლიციის შენობა გამჭვირვალეა, მინისაა...**

ყოჩაღ, ხელისუფალნო, როგორ მოიფიქრეთ? რომელმა არქიტექტორმა გირჩიათ? არა, ეს უდაოდ ვანოსა და მიშას გემოვნების, მათი არქიტექტურული ნიჭით ნაკარნახევი გადაწყვეტილებაა. ისე, სად მინის შენობა და სად — სვანეთის ბუნებრივი ლანდშაფტი და კლიმატური პირობები?! უეჭველია, დიდ ციხესაც ააშენებთ, მოგეხსენებათ, რამდენი ურჩი სვანია... არ გაგიჭირდებათ, სვანეთში „წარმატებული ოპერაციის“ ჩატარების გამოცდილება კი გაქვთ.

იქნებ ერთი-ორი მინის კოშკიც ააგოთ უშგულსა და მესტიაში!..

# განათებული უშბა?!

პროჟექტორებით უშბის განათება გადაწყვიტეთ? ისიც არ იცით, ხელისუფალნო, რომ უშბის მშვენება მისი ნისლია, მისი საიდუმლო, მისი ფიქრი, მისი გვირგვინი; უშბის ნისლი განუმეორებელია, როგორც ამას ცნობილი მთამსვლელი შუმანი ამბობდა; შუმანს, უშბის ერთი კალთიდან რომ მოწყდა, ასეული მეტრი იფრინა და გადარჩა, უთქვამს — მე უშბის ნისლმა გადამარჩინაო.

ბატონებო, უპროჟექტოროდაც დიდებულად ანათებს უშბა თავისი ნისლით.

**ლონდა მდივანი**

წერილი რედაქციას

# წყალი, ერთი წვეთი წყალი!

მოგმართავთ ქ. ტყიბულის სასტუმრო „ტყიბულში“ მცხოვრებ აფხაზეთიდან ასამდე დევნილის სახელით. მთელი აქ ცხოვრების 18 წლის მანძილზე გადაუჭრელი პრობლემა იყო წყლით მომარაგება. სამიოდ თვის წინათ თითქოს გვეშველა, ვითომ „გაგვირემონტეს“. უარეს დღეში ჩავცვივდით. თუ მანამდე ათასში ერთხელ გვაძლევდნენ წყალს, ახლა ისიც აღარ გვაქვს. ვედროებით ვეზიდებით შორიდან, ყარს აქაურობა. იქნებ თქვენმა ომახიანმა შეძახილმა გამოაფხიზლოს სათანადო ორგანოები და გვეშველოს!

პატივისცემით

**გივი ჩორგოლიანი**

2011 წლის 20 იანვარი

ვაჟკაცსა გული რკინისა...

# დაიღუპა, რათა სხვები გადაერჩინა!

## აკაკი ოთხმეზურის ლეგენდარული გმირობა

ქართველი მეომრები... სად არ უნახავთ მათი საგმირო საქმეები. უსახელო გმირთა საფლავები თითქმის მთელ მსოფლიოშია მიმოფანტული. მაგრამ ძნელად რომ მოინახოს დედამიწაზე სხვა მიწა მასობრივი ბატალიების ასეთი სისხლიანი კვალით. ეს ბელარუსის მიწაა. ომის კვალი აქ აღურიცხავია: ტრანშეები, სანგრები, ხანგრძლივი საცეცხლე წერტილების ბასტიონები, დაღუპულ მეომართა სახელიანი და უსახელო საფლავები. მე მათ ლამის ყოველ ნაბიჯზე ვხვდებოდი. ვინ იცის, რამდენ ქართველ მეომარს მოუსწრაფა სიცოცხლე ომის საშინელებამ გასულ საუკუნეში...

მადლიერმა ბელარუსმა ხალხმა, მისმა მთავრობამ ბევრი რამ გააკეთა და ახლაც აკეთებს იმისთვის, რომ საბჭოთა ხალხის გმირობამ ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეული ადგილი დაიკავოს კატეგორიების ისტორიაში. ავიღოთ, თუნდაც, ერთი მემორიალური კომპლექსი „სტალინის ხაზი“, რომელიც საგონებელში აგდებს და თავბრუს ახვევს გამოცდილ მეომარსაც და კირკიტა ტურისტსაც. ეს უზარმაზარი მუზეუმია ღია ცის ქვეშ მინსკის ოდნავ დასავლეთში, ყოფილი სიმაგრის ადგილზე, სადაც 1939 წლის სექტემბრამდე პოლონეთთან სსრ კავშირის საზღვარი გადიოდა. იგი ომამდელი და ომისდროინდელი პერიოდის სრული შეიარაღებით არის აღდგენილი. კომპლექსი – ეს ცოცხალი ორგანიზმია: აქ ყველაფერი მოქმედებაშია – ტექნიკაც, ხალხიც – იქმნება იმ სისხლიანი ომის შეტევის, თავდაცვის, გარღვევის სრული იმიტაცია. არ არის გასაკვირი, რომ მემორიალური კომპლექსი გახსნიდან (2006 წლიდან) რამდენიმე წლის განმავლობაში მილიონზე მეტმა დამთვალიერებელმა მოინახულა.

ამ რაიონში მიმდინარეობდა ჩვენი მეგობრული საუბარი ბელარუსის ვეტერანთა საზოგადოებრივი გაერთიანების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარესთან, გენერალ-ლეიტენანტ **ანატოლი ნოვიკოვთან**, კაცთან, ვისაც გულით უყვარს საქართველო და მისი ხალხი.

საუბრის დროს ხშირად უბრუნდებოდა ხოლმე სასიამოვნო მოგონებებს საქართველოს შესახებ, სადაც სამოცდაათიან წლებში ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში მსახურობდა. ის სიამაყით აღნიშნავდა, რომ მისი ქალიშვილი საქართველოში დაიბადა, რომ საქართველოში მიიღო გენერალ-ლეიტენანტის წოდება და ა.შ. ბევრი ვისაუბრეთ მაშინ, იმ ღირსსახსოვარ დღეს. პირველი მსოფლიო ომის თემასაც შევეხეთ. გენერალმა ნოვიკოვმა თავის ბლოკნოტშიც კი აღნიშნა ციფრი, რომელიც მე ვაცნობე, რომ ორ მსოფლიო ომში საქართველომ – პატარამ ტერიტორიითაც და მოსახლეობის რაოდენობის მხრივაც – ფრონტზე დაახლოებით ერთი მილიონი კაცი გაგზავნა, რომელთაგანაც 400 ათასზე მეტი დაიღუპა ან უგზოუკვლოდ დაიკარგა, და რომ პროცენტული თვალსაზრისით მოსახლეობასთან დაკავშირებით, ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია (!ძ.

საუბარში ჩაგვერთო გენერალთან შემოსული გადამდგარი პოლკოვნიკი ვლადიმირ ლიგუტა. სწორედ მისგან გავიგე ქართველი ოფიცრის, საქართველოს გრენადერთა მე-14 პოლკის მეთაურის, პოლკოვნიკ აკაკი გაბრიელის ძე ოთხმეზურის ლეგენდარული გმირობის შესახებ. ის პირველ მსოფლიო ომში ქ.სმორგონზე პირველი საჰაერო შეტევის გმირი გახლდათ.

უკვე მეოთხე დღეს ჩემს უფროს შვილთან, საქართველოს არმიის მაიორთან გიორგისთან ერთად ვიყავით სორგუნში, რომელიც მინსკიდან 115 კილომეტრში, გროდნოს ოლქში მდებარეობს. ვიყავით ადგილობრივ ისტორიულ-მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, სადაც გვიამბეს პოლკოვნიკ ვლადიმირ ლიგუტას დიდ წვლილზე ქართველი მეთაურის ნეშტის დაკრძალვის ადგილის დადგენაში, იმ შორეული და მრისხანე წლების მოვლენებზეც. ამავე მუზეუმში გადავათვალიერე ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი „დიდმოწამისა და ძლევამოსილი გიორგის სამხედრო ორდენი“, რომელიც მოსკოვში 2004 წელს გამოიცა. გიორგის მე-4 ხარისხის ორდენით დაჯილდოებულთა შორის პოლკოვნიკი აკაკი ოთხმეზურიცაა. ის მოკლეს 1916 წლის 20 ივლისს 42 წლის ასაკში. ქართველი ოფიცერი რუსეთის იმპერიის უმაღლესი ორდენით სიკვდილის შემდეგ, 1917 წლის 4 მარტს დააჯილდოვეს, რაზეც მეტყველებს არმიისა და ფლოტის სარდლის ბრძანება. ამავე ლექსიკონით შევიტყვეთ, რომ მისი მამა გაბრიელ ოთხმეზური გიორგის ჯვრით იყო დაჯილდოებული. აი ასეთი გმირული იყო ეს ოჯახი. ცოტა წინ წავუსწრებ ამბებს და ვიტყვი, რომ მინსკის არქივებში არ არის დოკუმენტები სამხედრო მოქმედებების შესახებ, ვინაიდან სმორგონში განთავსებული სამხედრო ნაწილები დოკუმენტებს აგზავნიდნენ არმიის შტაბში, ქ.მოლოდეჟნოში, შემდეგ კი ეშელონებით – მოსკოვისა და პეტროგრადის არქივებში. იქ უნდა გვეძებნა ისინი. მაგრამ, ვაი რომ...

მაგრამ ზოგი რამის გაგება მაინც მოვახერხეთ. სმორგონის მიწაზე რუსეთის არმია 810 დღე-ღამის განმავლობაში მტკიცედ ებრძოდა მტერს, რომელმაც იოლად ჩაიგდო ხელში ბრესტი, გროდნო, ვილნო. აქ კი, ამ პატარა ქალაქში, რუსები სიცოცხლის ფასად იდგნენ. უკან დახევა აღარ შეიძლებოდა: უკან იყო მინსკი და მოსკოვი.

სმორგონისთვის ბრძოლები საშინელი იყო. მოვიდა ბრძანება: „ნუ შეუშინდებით სიკვდილს! არც ერთი ნაბიჯი უკან! ჩვენს უკან რუსეთია!“ გერმანელებთან რუსეთის ჯარების ნაწილებთან ერთად თავგანწირულად იბრძოდნენ კავკასიის მე-2 არმიის ჯარისკაცები, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ საქართველოს გრენადერთა მე-14 პოლკი, აგრეთვე თბილისის მე-15, სამეგრელოს მე-16 და ლეიბ-ერივანის მე-13 პოლკები. დღეს ვინ იცის, რამდენი ჩვენი თანამემამულე დაიღუპა ბელარუსისთვის ბრძოლაში! მარტო ერთ დღეს, 1915 წლის 25 სექტემბერს ერთმანეთთან შეტაკების დროს 5,5 ათასი გერმანელი და რუსეთის 3,5 ათასი ჯარისკაცი დაიღუპა. ყველა ბრძანების საწინააღმდეგოდ, დაიდო ხელშეკრულება, რომ ვილიასთან ბრძოლის ველიდან წამოეყვანათ დახოცილები და დაჭრილები – ეს ხომ უპრეცედენტო ფაქტი იყო... სმორგონს შემდეგ „მკვდარ ქალაქს“ უწოდებენ: ის მთლიანად დაინგრა და გადაიწვა. ომის შემდეგ 16 ათასი მცხოვრებლიდან იქ მხოლოდ 130 გადარჩენილი დაბრუნდება.

აი ასეთ უმძიმეს პირობებში ებრძოდა მოწინააღმდეგეს ბრძოლებში სახელგანთქმული პოლკი მამაცი პოლკოვნიკის აკაკი ოთხმეზურის მეთაურობით. გერმანელებმა აღმოსავლეთის ფრონტზე პირველად გამოიყენეს მომწამვლელი აირი სმორგონის სასიკვდილო მიმართულებით, რომელსაც 1915 წლის 12 ოქტომბერს ქართველი გრენადერები იცავდნენ. მას შემდეგ საჰაერო შეტევები ჩვეულებრივი საბრძოლო მოქმედებების წესად იქცა. სადგურ სმორგონთან 1916 წლის ივლისის დასაწყისში გერმანელების ღამის შეტევაში სასიკვდილოდ მოიწამლა კავკასიის გრენადერთა დივიზიის 3000 ჯარისკაცი და ოფიცერი! გერმანელები შეტევაზე აირწინაღებით გადავიდნენ, ცალ ხელში შაშხანებითა და მეორეში ლურსმნებიანი ხელკეტებით მოწამლულების საბოლოოდ მოსაკვდინებლად. მაგრამ მათ წარმატება არ ხვდათ ქართველ გრენადერთა სიმტკიცის გამო!

ჩვენამდე მოაღწია ცნობილი რუსი მწერლის ქალიშვილის ალექსანდრა ტოლსტაიას მოგონებებმა. ის იმ დროს საფრონტო ჰოსპიტლის გამგე იყო და საჰაერო შეტევების მთელ საშინელებებს აღწერდა: „აირის ღრუბელში აკაკი ოთხმეზურმა მოიხსნა აირსაწინააღმდეგო ნიღაბი, მისი მიბაძვით კი დანარჩენმა ოფიცრებმაც ტრანშეებში, რათა უკეთ ემართათ ჯარისკაცები და გაემხნევებინათ ისინი. დაღუპვის პირას მისულმა პოლკმა მოიგერია შეტევა. გრენადერთა უმრავლესობა დაიღუპა, დაიღუპა ლეგენდარული მეთაური აკაკი ოთხმეზურიც...“




**ლევან და გიორგი დოლიძეები აკაკი ოთხმეზურის საფლავთან.**
**2010 წლის შემოდგომა**

შესანიშნავი ადამიანის, პოლკოვნიკ ვ.ლიგუტას წყალობით, ამ ცოტა ხნის წინათ, საარქივო მასალების საფუძველზე აღმოაჩინეს აკაკი ოთხმეზურის საფლავი. როგორც გამორჩეული ჯარისკაცი, ის დაკრძალეს სოფელ მიხნევიჩში, ქ.სმორგონის მახლობლად, წმინდა ლეონისმოზღლის ტაძრის გალავანში. ბელარუსის ქართულმა დიასპორამ ქართველი ისტორიკოსის ხელმძღვანელობით გმირის საფლავზე აღმართა ძეგლი. მემორიალის გახსნაზე ბელარუსში ჩამოვიდნენ საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით ზალკალიანი, მახლობელი სოფლების მცხოვრებლები, ომის ვეტერანები. ჩვენი მამაცი თანამემამულის საფლავი მუდამ სუფთა და მოვლილია ტაძრის წინამძღვრის მამა ანატოლის წყალობით, ვისაც ისევე, როგორც სოფლის მცხოვრებთ ძალიან გაუხარდათ ჩვენი ჩასვლა.

დღეისთვის ეს არის ბელარუსში პირველი მსოფლიო ომისდროინდელი ქართველი ოფიცრის ერთადერთი სახელდებითი საფლავი, რომელიც ორი მსოფლიო ომის სისხლიან მოვლენათა ეპიცენტრი გახდა.

დიდხანს ვიდექით აკაკი ოთხმეზურის საფლავთან. საქართველოდან წამოღებული ღვინის ჭიქა წავუქციეთ მის ხსოვნას, დავლიეთ იმ დაღუპულ ქართველ გრენადერთა და მეომართა შესანდობარი, რომელთა ძვლებიც მიმოფანტულია უზარმაზარ ველზე ბელარუსის ამ პატარა სოფლის გარშემო. დღეს მხოლოდ ღმერთმა თუ იცის, რამდენი ქართველი ჯარისკაცი და ოფიცერი დაეცა აქ... ჩვენს მასპინძლებს ძალიან აინტერესებდათ საქართველოს ისტორია, ქვეყნის დღევანდელი ცხოვრება, გვაძლევდნენ ბევრ შეკითხვას. მე მათ ვუამბე რუსეთის არმიის ერთ-ერთი უძველესი პოლკის ისტორია, რომლის უკანასკნელი მეთაურიც პოლკოვნიკი აკაკი ოთხმეზური იყო...

1700 წლის 25 ივნისს რუსეთის მეფის პეტრე პირველის განკარგულებით (ის პატივს მიაგებდა ყოველივე ქართულს!ძ ჩამოყალიბდა გრენადერთა მე-14 ქართული პოლკი. ამ შენაერთის ანგარიშზე ბევრი გმირული ისტორიაა. ქართველი გრენადერები მონაწილეობდნენ ჩრდილოეთის ომში, სპარსეთზე იერიშში, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომებში. ყირიმის ომში კურუკ-დართან ბრძოლაში ქართულმა პოლკმა შესანიშნავად წარმოაჩინა თავი. მაშინ პოლკს რიგრიგობით სარდლობდნენ ძმები იოსებ და კონსტანტინე თარხან-მოურავები – სახელგანთქმული გენერლები, ლეგენდარული გიორგი სააკაძის შთამომავლები. კავკასიის ომში კი, რომელიც ყველაზე ხანგრძლივი იყო რუსეთის ისტორიაში (1817-1864ძ, ქართულმა პოლკმა დაიპყრო აული გუნიბი და ტყვედ აიყვანა შამილი. გამარჯვებისთვის გრენადერთა მე-14 ქართული პოლკი დააჯილდოვეს გიორგის საპატიო დროშით და სხვა ჯილდოებით. მისი ათი მეთაური და ოფიცერი წმინდა გიორგის ორდენების კავალერები გახდა. 1918 წელს უკვე წითელ არმიაში მოხდა პოლკის რეფორმირება. მე ბელარუსებს ვუამბე ისიც, რომ რუსეთის სამეფო-საიმპერატორო არმიაში საქართველოდან ხუთასზე მეტი გენერალი მსახურობდა. რუსების შემდეგ ეს გენერალთა ყველაზე დიდი რაოდენობაა!

მათ მე ამ უშვიათი ქართული გვარის წარმომავლობის შესახებაც ვუამბე. მისი ისტორია ბიზანტიის დროიდან მოდის: ოთხმეზური – ეს გადასახადების ამკრეფი სახელმწიფო მოსამსახურის თანამდებობა იყო (მაშინ ის წარმოითქმებოდა, როგორც ოთხმეხური). ჩემი ვარაუდით, ოთხმეზურის გვარის სოფელ დვაბზუიდან უნდა იყოს, საიდანაც არიან ჩემი ნათესავებიც...

სხვათა შორის, ეს პატარა გვარია. თბილისში, მაგალითად, ოთხმეზურები ათზე ოდნავ მეტნი არიან. ერთ-ერთი მათგანისგან ზურაბ ოთხმეზურისგან გავიგე, რომ გიორგის ორდენის კავალერის შვილთაშვილი – ბორის გიორგის ძე ოთხმეზური თავისი ოჯახით ცხოვრობს და მუშაობს მოსკოვში და დიდად ეამაყება თავისი საგვარეულო ფესვები...

ამჟამად ქ.სმორგონში მიმდინარეობს მუშაობა „1915-17 წლების პირველი მსოფლიო ომის დაპირისპირების ხაზის მემორიალური კომპლექსის“ შესაქმნელად. ბელარუსმა კვალისმაძიებლებმა რუსეთის სახელმწიფო სამხედრო-ისტორიულ არქივში აღმოაჩინეს იმ შორეული წლების რუკები და დაკრძალვის სქემები. საარქივო საქმეებში, როგორც გვიამბეს, ომისდროინდელი სასაფლაოების ბევრი ფოტოგრაფია და დაკრძალულთა სიებია. ამ საფლავებში რუსეთის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები განისვენებენ. ამჟამად ყველა ეს დოკუმენტი ფოტოზეა გადაღებული და ბელარუსის თავდაცვის სამინისტროს სამშობლოს დამცველთა ხსოვნის უკვდავყოფის სამმართველოში ინახება. ბელარუსში საქართველოს ახალ საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ გიორგი ჩხეიძეს ქართულ დიასპორასთან ერთად მოუწევს კეთილშობილური მისიის შესრულება – წარმოაჩინოს პირველი მსოფლიო ომის წლებში ბელარუსის ტერიტორიაზე დაღუპული ქართველი მეომრები. მართალია, დიდი დაგვიანებით, მაგრამ ჩვენი ვალია – გამოვავლინოთ ათეულ ათასობით უცნობი სახელი, თუმცა მათ საქართველოს ტერიტორიაზე არ უბრძოლიათ და მისგან შორს დაიღუპნენ. ეს დიდი ხანია გააკეთეს ინგლისში, საფრანგეთში, სხვა ცივილიზებულ ქვეყნებში. ამას მოითხოვს გულის ხსოვნა, ეს ჩვენ, ცოცხლებს გვჭირდება...

ვფიქრობ, უინტერესო არ უნდა იყოს მკითხველისთვის პატარა სტატისტიკაც, რომელიც სპეციალურად შევარჩიე ამ სტატიისთვის. პირველი მსოფლიო ომი, როგორც ცნობილია, 1914 წლის 1 აგვისტოს დაიწყო და 1918 წლის 11 ნოემბერს დამთავრდა, მან 38 ქვეყანა მოიცვა. მანამდე ასეთი სისხლიანი ომი მსოფლიოს არ უნახავს. ომის ქარცეცხლმა შეიწირა 10 მილიონი სიცოცხლე, დაასახიჩრა ორჯერ მეტი ადამიანი. ქართველ მკვლევარ ისტორიკოსებს შორის დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა პირველი მსოფლიო ომის იმ მონაწილეთა ოდენობის შესახებ, ვინც ფრონტზე საქართველოდან წავიდა (სხვათა შორის, ნაწილობრივ ეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებსაც შეეხება!ძ. სხვადასხვა წყარო საპირისპირო ციფრებს ასახელებს: ასი ათასიდან ოთხასი ათასამდე. თავს ნებას მივცემ, მკითხველს შევახსენო, რომ 1915 წლის დასაწყისისთვის საქართველოში ცხოვრობდა 3.176.056 კაცი. ფაქტია, რომ ქართველებმა პირველი მსოფლიო ომის წლებში, როგორც ყოველთვის, საუცხოოდ წარმოაჩინეს თავი. ამაზე შესანიშნავად მეტყველებს ფაქტები: იმ ომში 40-ზე მეტი საბრძოლო გენერალი და 5000 ოფიცერი მონაწილეობდა საქართველოდან, მათგან ორასზე მეტი (!ძ გიორგის ორდენით დაჯილდოვდა, დაახლოებით ორიათას ხუთასი – გიორგის ჯვრით.

ერთ-ერთი მათგანი სწორედ ჩვენი პუბლიკაციის გმირი, თბილისის ფეხოსანთა სასწავლებლის (პირველი თანრიგით, ანუ წარჩინებით) კურსდამთავრებული გიორგის ორდენის კავალერი, პოლკოვნიკი აკაკი ოთხმეზური იყო.

**ლევან დოლიძე,**
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,
**თბილისი-მინსკი-სმორგონი.**

წლები

*დიდმა მწერალმა კონსტანტინე გამსახურდიამ კოლხურ კოშკში ინტერვიუსთვის მისულს მითხრა, რუსთავი საქართველოსთვის ჩვენი საუკუნის უდიდესი მონაპოვარია, თბილისის აღმოსავლეთით ქართულმა სიტყვამ და სულიერებამ კვლავ დაიბრუნა თავისი ნაავნარიო.*

*ეს ასეც იყო. ბარბაროსთაგან მრავალგზის დარბეული და მიწისპირიდან აღგვილი, როგორც ქართლის ცხოვრება წუხს „ანცა ოხერ არს“ ჩვენი დიდი მამულიშვილის ძალისხმევით ფენიქსისებრ აღსდგა, დიდი რუსთაველის ქალაქი კვლავ იქცა უმშვენიერეს ბაღნარად, ქვეყნის მეორე ინდუსტრიულ კერად და არა მარტო სამრეწველო გიგანტების ამგუგუნებელი, იგი კულტურის, ხელოვნების, მედიცინის და ვაჭრობის დარგებშიც თავის სიტყვის მთქმელია.*

*მე, უფლის ნებით, ჟურნალისტობა დამებედა და მადლობა ღმერთს, რომ საშუალება მომეცა, ახლოს გამეცნო და მეცხოვრა იმ ადამიანების გვერდით, რომლებიც აშენებდნენ ახალ ქალაქს და ქმნიდნენ მის მშვენიერ მომავალს.*



(მარცხნიდან)ვალერიან გრძელიშვილი, თენგიზ არჩვაძე და ანზორ ბაბუხადია

# სიკეთით მოსილი კაცი

იმ მრავალ ღვაწლმოსილს შორის ერთ-ერთი ვალერიან გრძელიშვილიცაა, რომელიც დღესაც მშობლიურ ქალაქს ემსახურება.

— რა არის ჩემთვის რუსთავი? აბა, როგორ გითხრა, — ჩემ წინ სავარძელში ზის ჭარმაგი, ჯერ კიდევ ენერგიით სავსე, სანდომიანი ჭაღაროსანი. იგი რაჭული სიდინჯით ეძებს პასუხს. — მე რაჭაში დავიბადე. დღეს ოჯახთან, შვილებთან თბილისში კი ვცხოვრობ, მაგრამ ჩემთვის რუსთავი მთელი სიცოცხლეა, ალბათ სხვაგვარად ძნელია წარმოვიდგინო ჩემი განვლილი არცთუ ხანმოკლე წლები. მე ბედნიერი ვარ, რომ ვიცხოვრე და ვიღვაწე იმ ადამიანებთან, ხალიბთა იმ ღირსეულ მემკვიდრეებთან, რომლებმაც არა თუ გააცოცხლეს შორეული ხელოვნება ფოლადის წარმოებისა, არამედ უდაბნოში აშენებდნენ ახალ თანამედროვე ქალაქს და თავიანთი სასახელო საქმეებით საქართველოს შორს გაუთქვეს სახელი.

ვალერიან ალექსანდრეს ძე გრძელიშვილი 1933 წელს ონის რაიონის სოფელ სევაში დაიბადა, სადაც დღესაც არ აქრობს მამაპაპურ კერას.

1955 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა და დაეუფლა საქონელმცოდნის სპეციალობას. იმავე 1955 წელს ჩამოვიდა რუსთავში და მუშაობა დაიწყო ვაჭრობაში.

ამ მცირე ბიოგრაფიული ამონარიდის სტრიქონებს შორის ათეული წლების დაუცხრომელი საქმიანობაა ჩატეული. მოგეხსენებათ, იმხანად ვაჭრობა ცოტა სათაკილოდაც კი ითვლებოდა. უფრო მეტიც, მაშინდელ პარტიულ ხელმძღვანელობას, და არა მარტო მას, თითოეულ პარტიული სამეურნეო აქტივის კრებაზე, პლენუმებზე თუ კონფერენციებზე თავისი საქმიანობის გასამართლებლად თუ კბილის გასაკრავად ვაჭრობა ჰყავდა მიჩნეული და არც თუ იშვიათად იმეტებდა ამ დარგის მუშაკებს.

ბატონი ვალერიანი კი დინჯად, მაგრამ თავდაჯერებით მიუყვებოდა თავისი კარიერის საფეხურებს — რიგითიდან მაღალ თანამდებობაზე. 1979 წელს გახდა ქალაქის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი. მომდევნო წლებში შეთავსებით მუშაობდა რუსთავის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. იყო ჯერ მერიის, შემდეგ კი ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი რეგიონალური სამმართველოს უფროსი. ნამსახურების ჯილდოებსაც ბარემ აქვე ჩამოვთვლი: 1968 წელს მიენიჭა ვაჭრობის წარჩინებული მუშაკის წოდება; შემდგომ დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშის ორდენით; ამას მოჰყვა საქართველოს დამსახურებული ვაჭრობის მუშაკის წოდება, ღირსების ორდენი; არის რუსთავის საპატიო მოქალაქე. ალბათ დამეთანხმებით, იმ დროს ვაჭრობაში ამდენი ჯილდოს მოპოვება, ასე დაფასებულად წინსვლა არცთუ ადვილი საქმე იყო, მაგრამ ბატონ ვალერიანს არ ღალატობდა საქმის სიყვარული, ნიჭი და ალღო, ადამიანებთან ურთიერთობის უნარი, კოლექტივის გამძღოლის სწორი ტაქტიკა. არადა, ადვილი როდი იყო 170-ათასიანი ქალაქის ვაჭრობის სწორი ორგანიზება, განსაკუთრებით სამრეწველო-საწარმოთა ასობით მუშათა სასადილოების შეუფერხებელი მუშაობა, ყველაფერი ისე გეკეთებინა, რომ ყველა კმაყოფილი და მადლიერი გყოლოდა. და არა მარტო ეს. ვალერიან გრძელიშვილმა, მაშინდელ საბჭოთა კავშირის სივრცეში მრავალი სიახლე პირველმა დანერგა, რომელშიც ვაჭრობის დარგი უფრო მომგებიანი, მოქნილი და ოპერატიული გახადა, რაც შემდგომ რუსეთის თუ სხვა რესპუბლიკების ქალაქებშიც დაინერგა.

ჩვენი საუბარი გრძელდება, მაინტერესებს, როგორ უყურებს ვეტერანი დღეს ვაჭრობის დარგში განვითარებულ მოვლენებს.

— ახლა ყოველი ფეხის ნაბიჯზე იხსნება რესტორნები, სავაჭრო დაწესებულებები. ჩვენ უკვე ავითვისეთ დღევანდელობის მოთხოვნები ამ დარგში და მაინც, სპეციალისტების ნაკლებობა შეინიშნება. ამ საქმეს მეტი პროფესიონალიზმი სჭირდება, ამიტომ არაერთგზის დავუყენე საკითხი ვაჭრობისა და განათლების სამინისტროებს, გვქონოდა სავაჭრო-კულინარიული სასწავლებელი, რამეთუ დღევანდელი მომხმარებელი შედარებით ფაქიზი და მომთხოვნია. სამწუხაროდ, ჩვენთვის არა სცალიათ.

**— ვაჭრობას რა როლი აკისრია ქვეყნის ეკონომიკაში?**

— დიდ სერვანტესს აქვს ასეთი გამონათქვამი: „ყველა ქალაქის სავიზიტო ბარათი ვაჭრობაა. ვაჭრობის ობიექტებით იწყება ქალაქის გაცნობაო“. ეს კომუნისტების დროსაც ასე იყო, ოღონდ დაფარულად. დღევანდელობამაც დაამტკიცა, რომ კარგად განვითარებული ვაჭრობის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება და საერთოდ, სახელმწიფოს არსებობაც კი.

**— ამგვარი სასწაულები არ ხდება, მაგრამ ცხოვრების თავიდან დაწყება რომ მოგიხდეს, რა გზას აირჩევდი?**

— მამაჩემი ალექსანდრე, ერთ-ერთი პირველი ჩამოვიდა რუსთავში, ხელმადლიანი კულინარი იყო, მისი დამფასებლები დღესაც არიან. მეც მამის გზას გავყევი, რადგან ადამიანების სამსახურზე უკეთესი, სხვა რა უნდა ამომერჩია?

**— ოჯახი?**

— მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები... ფუქმრავლობას არ ვუჩივი. დღეს საქართველოს ბევრი შვილი ნამდვილად სჭირდება. ჩემი შვილებიც ამაზე ფიქრობენ და...

**— ღმერთმა გამრავლოთ!**

...ქველმოქმედი კაცია ვალერიან გრძელიშვილი, ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, რუსთავში პირველი ეკლესიის მშენებლობა დაიწყო. მისი ინიციატივით ვაჭრობის სისტემაში ასი ათასი მანეთი შეგროვდა და ამ სამადლო-საშვილიშვილო, კურთხეულ საქმეს მოხმარდა, მთლიანად ეკლესიის მშენებლობის ღირებულება 900 ათასს შეადგენდა. მერე აფხაზეთიდან ლტოლვილებსაც დაუდგა გვერდით, ახლა კი სამაჩაბლოდან დევნილებზეც მოუწია ზრუნვა. ამას კი ნამდვილად არ მოელოდა, ქართველებმა რუსებს რამდენი სიკეთე გავუკეთეთ, თუმცა ვის რა უნდა მოკითხო? სტალინმა გაღატაკებული ქვეყანა ზესახელმწიფოდ აქცია, ახლა კი ფუძე-კერა და ნაავნარი ისე დაუნგრიეს და გაუნიავეს, არც კი გახსენებიათ მისი წყალობით რომ გადაურჩნენ ფაშიზმისაგან იავარქმნასო.

**გივი ჯახუა**

*P.S. საუბარი თითქმის დასრულდა. გამომშვიდობებისას შევატყვე, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა და ეკრძალებოდა. შევყოვნდი.*

*— იცით რა, თქვენი გაზეთის ერთგული მკითხველი ვარ, დემოგრაფიულ პრობლემებზე ხშირად წერთ. ეს ქვეყნის უპირველესი სატკივარი და უდიდესი საზრუნავია. ჩემგან თუ ეგება, მინდა სპეციალური ფონდი შეიქმნას. მართალია, დღესდღეობით ბევრი გასაჭირი ადგას ქვეყანას, მაგრამ ეს აუცილებელია. პირველ შენატანსაც მე შევიტან, ჩემს მეგობარ ბიზნესმენებშიც დავტრიალდები, საამისოდ ყველა ქართველი გაირჯება. ოღონდაც ისე მოხდეს, რომ შემოსული თანხა მხოლოდ მრავალშვილიანი ოჯახების პატარებს მოხმარდეს.*

*მესიამოვნა მისი ეს ინიციატივა. ვუთხარი, მეც მაქვს ასეთი სურვილი, ალბათ ბევრ სხვასაც-მეთქი. იქნებ ჩვენმა გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ ითავოს ეს საქმე?*

*გ.ჯ.*

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

**● ეს კაცი 1915 წელს მილანის ცნობილი საავტომობილო კომპანია „ანონიმა ლომბარდა ფაბრიკა ავტომობილეს“ ხელმძღვანელი გახდა. როცა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩქაროსნული ავტომობილების სერიული გამოშვება დაიწყო, ამ სიახლეს თავისი გვარისა და ფირმის აბრევიატურისგან შემდგარი სახელი — „ალფა-რომეო“ უწოდა.**

**● ესპანელები ამერიკაში ინდიელებს შეუბრალებლად ხოცავდნენ, არ ინდობდნენ არც ბავშვებს და არც ქალებს. ესპანელების ბრალი იყო ისიც, რომ 1576 წელს მათ იარაღს გადარჩენილი მექსიკის მოსახლეობის თითქმის ნახევარი გაიჟლიტა, რადგან კონკისტადორებმა ავადმყოფობები შეიტანეს.**

**● ცნობილ ფრანგ არქიტექტორ ლე კორბუზიეს ბავშვობაში ხშირად სჯიდნენ კუთხეში დაყენებით, ამიტომაც ერთ მშვენიერ ოვალურკედლებიანი კოშკი დააპროექტა.**

**● ლონდონის აუქციონზე 12 ათას დოლარად გაიყიდა 1912 წელს გამოშვებული სარეკლამო პლაკატი, რომელიც გემ „ტიტანიკზე“ სასიამოვნო და უხიფათო კრუიზში იწვევდა ტურისტებს.**

**● ადრე კონცერნ „ჰეინცში“ კარტოფილს ჩიფსებისთვის ორთქლის დიდი წნევით თლიდნენ. ახლა საამისოდ ლაზერულ მოწყობილობას იყენებენ. სხივი, რომელსაც მოძრავი სარკეები აირეკლავენ, თითოეულ დასამუშავებელ ერთეულს შემოურბენს. ის წამში 500 ერთეულს ამუშავებს. ეს სამუშაო ადრე სასჯელად გამოიყენებოდა.**

**● 1863 წელს 36 ქვეყნის წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც ბრძოლის ველზე დაჭრილების დახმარებას ეძღვნებოდა, წითელი ჯვრის საქველმოქმედო საერთაშორისო ორგანიზაციის ემბლემად თეთრ ფონზე წითელი ჯვარი მიიღეს (შვეიცარიის, სადაც კონფერენცია ტარდებოდა, პატივსაცემად აირჩიეს შვეიცარიის დროშის ფერები და სიმბოლიკა — თეთრი ჯვარი წითელ ფონზე). ჟენევის პირველ კონვენციაში, რომელსაც 1864 წელს ხელი მოაწერეს 16 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, წითელი ჯვარი დაჭრილების, მედპერსონალის (სამკლაური მარცხენა მკლავზე), ტრანსპორტის საწყობების, ლაზარეთებისა და ჰოსპიტლების მტრული ძალებისგან დამცავ ნიშნად გამოცხადდა.**

გამოფენა

# კავკასიური საგა მხატვართა თვალით

**„ალექსანდრე ყაზბეგის კავკასიური საგა მხატვართა თვალით“ — გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმში ამ სახელწოდებით გაიხსნა გამოფენა, რომელიც ეძღვნება ალექსანდრე ყაზბეგის დაბადებიდან 163 წლის იუბილეს.** გამოფენაში, რომელიც ათ დღეს გასტანს, მონაწილეობენ სხვადასხვა თაობის მხატვრები: კარლო ფაჩულია, ზურაბ ნიჟარაძე, მალხაზ იაშვილი, ავთო პოპიაშვილი, ალექსანდრე სლოვინსკი, გიორგი ჩაჩანიძე, ლერი ფავლენიშვილი, ბადრი გაგნიძე, ირაკლი ჩიქოვანი, მზია დედანაშვილი, ლიზა ჩქარეული, დეა სოსელია, თამთა სოსელია, მაია სიამაშვილი.




გამოფენა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ საინიციატივო ჯგუფისა და ახალგაზრდების — შალვა ელოშვილის, ლიზა ჩქარეულის, ანა გელაშვილის ორგანიზებით გაიმართა.

გამოფენის მნიშვნელობაზე ისაუბრა ლიტერატურის მუზეუმის დირექტორმა ლაშა ბაქრაძემ. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოების თავმჯდომარემ როსტომ ჩხეიძემ ხაზი გაუსვა ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნების სიდიადეს, რომ იგი თავის დროზე მკვეთრად დაუპირისპირდა რუსულ იმპერიალიზმს. იგი არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი კავკასიის თავისუფლებისათვის იბრძოდა და ისევეა კავკასიის მწერალი, როგორც ჩვენი. ამიტომ უწოდეს მის შემოქმედებას კავკასიური ილიადა, კავკასიური საგაო.

ბატონი კარლო ფაჩულიას მონდომებით, ამ საქმიანობაში მხატვრები ჩაებნენ. გამოფენაზე 24 მხატვრის 50-ზე მეტი ნამუშევარია წარმოდგენილი. აქედან ნახევარზე მეტი საგანგებოდ დაიხატა, რაც უთუოდ ქართული კულტურის მონაპოვარია.

ეს გამოფენა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებს, ახლებურად გაიაზრონ ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედება — ამ სულისკვეთებით იყო გამსჭვალული ნინო ზაალიშვილის, ლადო მინაშვილის, შოთა ბოსტანაშვილის, ავთო პოპიაშვილის, ლიზა ჩქარეულის და სხვების გამოსვლები. ავთო პოპიაშვილმა 7, ხოლო ლიზა ჩქარეულმა 8 ნახატი შექმნეს ამ გამოფენისთვის.

საღამო გაალამაზა ანსამბლ „ჯვარულის“ სიმღერებმა.

**ნატა ნიბლაძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისს იმედი აქვს, რომ ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისგან დახმარებას მიიღებს

**საქართველოს მთავრობა მიესალმება ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო დახმარების ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სააგენტო) გადაწყვეტილებას, რომელმაც თბილისს მეორე, ხუთწლიანი გრანტის მოპოვების შანსი მისცა. მიუხედავად იმისა, რომ დახმარების ხარისხის და განვითარების პრიორიტეტების განსაზღვრა ახალი გრანტისთვის ჯერ არ დასრულებულა, ქართველი ჩინოვნიკები ქვეყნის საგანმანათლებლო და სატრანსპორტო ინფრანსტრუქტურის გაუმჯობესების მიმართ დაინტერესებას გამოთქვამენ.**

ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციამ (MCCძ საკუთარი გადაწყვეტილება 5 იანვარს გამოაცხადა. MCC-ს ახალი პროექტის (რომლის ადმინისტრირებასაც მისი თბილისის ფილიალი „მილენიუმის გამოწვევა საქართველო" (MCGძ განახორციელებსძ დაფინანსების მოცულობა მოგვიანებით განისაზღვრება, მას შემდეგ რაც თბილისი განვითარების სრულყოფილ პროექტს წარადგენს. აპრილში საქართველო დაასრულებს მის პირველ, 395.3 მილიონდოლარიან გრანტთან ან „შეთანხმებასთან" (ე.წ. compactძ დაკავშირებულ პროგრამებს, რომელიც 2006 წელს დაიწყო.

დამატებითი გრანტისთვის ქვეყნები (MCC მათ „კომპაქტებს" უწოდებსძ სამი ძირითადი კრიტერიუმით შეირჩა. ესენია: პირველი შეთანხმების წარმატებით დასრულება, რეფორმების მაჩვენებლები და ფონდების არსებობა. მეორე „კომპაქტის" მიმღებ ქვეყნად განაც დასახელდა.



უცხოური დახმარების საკითხებში პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის მთავარმა მრჩეველმა თამარ კოვზირიძემ MCC-ის დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებას საქართველოსთვის ძალიან ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერა უწოდა.

„იშვიათია, როდესაც ქვეყანა მეორე „კომპაქტს" იღებს, ეს რაღაც განსაკუთრებულს ნიშნავს", – განაცხადა კოვზირიძემ და აღნიშნა, რომ სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი MCC-ის დირექტორთა საბჭოს წევრია.

MCC-ის წარმომადგენელმა ჯიმ მაკნიკოლასმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორგანიზაციის მეორე გრანტი საქართველოსთვის იმას დაეფუძნება, თუ რამდენად შეძლებს თბილისი, დააკმაყოფილოს დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების კრიტერიუმები, ასევე ინვესტიციებს; და არ იქნება დაფუძნებული გეოპოლიტიკურ მოსაზრებებზე.

MCC-ის მეორე გრანტი, რომელიც ჯერ შეერთებული შტატების კონგრესმა უნდა მოიწონოს, ასევე დამოკიდებულია საქართველოს მიერ პროგრამებისთვის წარმოდგენილ წინადადებებზე, და არ გამოიყოფა მანამ, სანამ საქართველო არ დაასრულებს მიმოხილვის ხანგრძლივ პროცესს. საქართველოს მთავრობას MCC-ის დაფინანსებისთვის საკუთარი წინადადებების წარდგენა ჯერ არ დაუსრულებია, თუმცა აღნიშნა, რომ განათლების და ტრანსპორტის ინფრასტრუქტურა მისი განვითარების პროგრამის მთავარი სამიზნეებია.

განხორციელების შემთხვევაში დაფინანსება აშშ-ს მთავრობის 1 მილიარდდოლარიან დახმარებას დაემატებოდა, რომლის გაცემაც საქართველოსთვის 2008 წელს რუსეთთან ომის შემდეგ განისაზღვრა.

საქართველო უცხოურ დახმარებასა და დონორების მხარდაჭერაზეა დამოკიდებული იმისთვის, რომ ბიუჯეტი დააბალანსოს და დააფინანსოს ინფრასტრუქტურა და განვითარების სხვა პროექტები. 2011 წელს მთავრობა დონორებისა და უცხოური მთავრობებისგან 877 მილიონ დოლარზე მეტ ფინანსურ დახმარებას ელოდება.

იმ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციის ზოგიერთი წარმომადგენელი, რომელიც, როგორც MCC-ის, ასევე MCG-ის მონიტორინგს ეწევა, ამ სიახლეს თბილისისთვის ნაწილობრივ წარმატებად მიიჩნევს. „MCC და საქართველოს მთავრობა შესაძლოა ამას ჯილდოდ აღიქვამენ, რადგან მათი მხრიდან შედარება უარეს და არა უკეთეს ქვეყნებთან ხდება", – აცხადებს ირინა ლაშხი, პროგრამების კოორდინატორი ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოდან", ორგანიზაციიდან, რომელიც კოალიციას აფინანსებს.

საქართველო შეფასდა, როგორც „საშუალოზე დაბალი შემოსავლების" ქვეყანა და იმ 31 ქვეყნის კატეგორიაში მოხვდა, სადაც შედიან ანგოლა, ერაყი და შრი-ლანკა. შედეგების ყოველწლიურ ანგარიშში MCC-მ საქართველოს რამდენიმე კრიტერიუმით დაბალი შეფასება მისცა, მათ შორის პოლიტიკური უფლებებისა და ფისკალური პოლიტიკის თვალსაზრისით.

ანალიტიკოსმა კეისი დანინგმა ვაშინგტონის გლობალური განვითარების ცენტრიდან, რომელიც სწავლობს MCC და მის გრანტებს, აღნიშნა, რომ შეფასება ასახავს საქართველოს პოზიციას მისი მსგავსი ქვეყნების ჯგუფთან შედარებით და არა მისი პოლიტიკის წარუმატებლობას.

„საქართველო დღემდე წარმატებული ისტორიაა MCC-სთვის, მაგრამ საბჭომ ძალიან მკაფიოდ განმარტა, რომ მეორე გრანტი დამოკიდებულია პირველის წარმატებულ დასრულებაზე", – განაცხადა დანინგმა ელექტრონული ფოსტით მოცემულ ინტერვიუში.

MCC-ის პირველი გრანტი მთავრობამ სხვა პროექტებთან ერთად გამოიყენა 200 კმ გზების მშენებლობაზე ქვეყნის სამხრეთ რეგიონში – სამცხე-ჯავახეთში, ასევე ქვეყნის სტრატეგიული ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზის მილსადენის აღსადგენად. „ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რომ ისინი პროექტს კარგად ახორციელებენ და ველოდებით იმ შედეგს, რომელსაც ჩვენ ვიმედოვნებთ და რომელსაც საქართველო წინასწარმეტყველებდა", განუცხადა MCC-ს მაკნიკოლასმა.

თუმცა, ლაშხი და არასამთავრობო სექტორის სხვა აქტივისტები ამბობენ, რომ მათ დიდი ხანია, რაც აქვთ კითხვები გრანტების გამჭვირვალობასთან და MCC/MCG-ს ვალდებულებასთან დაკავშირებით – საჯარო გახადოს მეორე გრანტი. ლაშხის თქმით, MCC-ის აღმასრულებელმა დირექტორმა დანიელ იოჰანესმა უარი თქვა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, როდესაც ის შარშან ოქტომბერში საქართველოში იმყოფებოდა. MCC-ის წარმომადგენელმა მაკნიკოლასმა EurasiaNet.org-ს განუცხადა, რომ იოჰანესი ვიზიტის დროს ადგილზე პროექტების მონიტორინგის პროცესში შეფერხებებს წააწყდა და ვერ შეძლო არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებთან გამოტოვებული შეხვედრის ხელახლა დანიშვნა.

მაკნიკოლასმაც და MCG-ს ხელმძღვანელმა გიორგი აბდუშელიშვილმაც განაცხადეს, რომ მათი ოფისების მუშაობა გამჭვირვალეა და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობას მიესალმებიან. „ჩვენ ძალიან, ძალიან გახსნილები ვართ ყველასთვის", – თქვა აბდუშელიშვილმა. „ჩვენ ყოველთვის ვიწვევთ მათ (არასამთავრობო ორგანიზაციებს) საბჭოში... ისინი საბჭოში უნდა იყვნენ. მე ვერ წარმომიდგენია, ამაზე გამჭვირვალე როგორ უნდა ვიყოთ".

საერთაშორისო ანტიკორუფციული სადამკვირვებლო ორგანიზაციის ადგილობრივი ოფისის „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" საბჭოს ხელმძღვანელი შეხვდა იოჰანეს მისი თბილისში ვიზიტის დროს და განაცხადა, რომ ის „ამტკიცებდა", რომ სააგენტოსთვის არასამთავრობოებთან თანამშრომლობა ღირებულია. „მე დავრწმუნდი, რომ, ყოველ შემთხვევაში, MCC ხედავს არასამთავრობოებთან თანამშრომლობის ფასს და ჩვენ არ აღგვიქვავენ, როგორც ერთგვარ ტკივილს, რომელსაც უნდა შეეგუო", – თქვა მარკ მალენმა, რომელიც დიდი ხანია რაც MCC-ს პროგრამებს აკვირდება. „ჩვენ ვნახავთ, როგორ აისახება ეს „კომპაქტში".

## დედამიწის ზურგზე

**რუსმა სამხედროებმა აწყენინეს იაპონიას, როდესაც გადაწყვიტეს, შეემოწმებინათ კურილიის კუნძულების მზადყოფნა თავდაცვისთვის**



არმიის სარდლობის მიერ კუნძულ იტურუპზე სატყვიამფრქვევო-საარტილერიო დივიზიის დათვალიერება არ შეესაბამება იაპონიის პოზიციას და იწვევს ძლიერ მწუხარებას, განაცხადეს მთავრობაში. ამ დროს იაპონიის ხელისუფლება ქმნის კორუფციასთან ბრძოლის კომისიას, რომელთანაც დამოკიდებულება აქვთ რუს ჩინოვნიკებს.

* * *

**პოლონელმა ექსპერტმა ტუ-154 კატასტროფაში ბრალი დასდო კაჩინსკის პილოტებს, კრიმინალისტებმა კი გაშიფრეს საუბარი კაბინაში**



„კარგ ეკიპაჟს გამართულ თვითმფრინავზე ავარია არ მოუვა, ხოლო ინფორმაცია კი არის, რომ ტუ-154 გამართული იყო. დაშვება არ უნდა მომხდარიყო მაშინაც კი, თუ დედამიწიდან სხვა მითითებები იქნებოდა. მათ აუცილებლად უნდა იცოდნენ თვითმფრინავის მდგომარეობა", — განმარტა ედმუნდ კლიხმა.

* * *

**იაპონიამ მოითხოვა ბოდიშის მოხდა ბრიტანული შოუს „მსოფლიოში ყველაზე წარუმატებელი კაცის შესახებ" გამო**



ტოკიოს უკმაყოფილება გამოიწვია იუმორისტულმა შოუმ, რომელიც ბი-ბი-სის ტელეარხზე აჩვენეს ჯერ კიდევ შარშან დეკემბერში და რომელშიც თითქოს დასცინოდნენ იაპონელ ცუტომუ იამაგუტის. იგი დაზარალდა ორი ბირთვული დაბომბვის შედეგად. დიპლომატებმა ტელეარხს გაუგზავნეს წერილი პროტესტით, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღიათ.

* * *

**„ვიკილიკსის მეგობრები": ასანჟი შეიძლება ჩავიდეს რუსეთში სამი კვირის შემდეგ, მას აქვს ვიზა**




ასეთი განცხადება გააკეთა ფონდ „ვიკილიკსის მეგობრების" ერთ-ერთმა შემქმნელმა. თებერვლის დასაწყისში სასამართლომ ლონდონში უნდა გადაწყვიტოს საკითხი მისი ექსტრადიციის შესახებ შვედეთში სექსუალური დანაშაულების ბრალდებით. ჯერჯერობით კი ასანჟი ყოველდღიურად უნდა მიდიოდეს პოლიციაში და ცხოვრობდეს მეთვალყურეობის ქვეშ, პასპორტი კი ჩამორთმეული აქვს.

* * *

**ეკვადორში დაიმსხვრა სამხედრო თვითმფრინავი: დაიღუპა 5, დაიჭრა 1 კაცი**

ორმოტორიანი მსუბუქი თვითმფრინავი ეკიპაჟის 6 წევრით ასრულებდა საპატრულო გაფრენას და უეცრად დაიკარგა რადარის ეკრანიდან. ბორტზე მყოფი ჯარისკაცებიდან ერთი გადარჩა და ამჟამად ის ჰოსპიტალიზებულია.

* * *

**აშშ მზადაა, მხარი დაუჭიროს ევროკავშირის სანქციას ბელარუსთან დაკავშირებით**



ამას გარდა, აღნიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის საკითხში ფილიპ კროულიმ, ამერიკა „მზადაა, მიიღოს დამატებითი ზომები, რათა აღადგინოს (ცალმხრივად) სანქციები მინსკის წინააღმდეგ, რომლებიც შარშან გაუქმდა".

* * *

**ნიუ-იორკში მოხდება სასამართლომდელი მოსმენა ვიქტორ ბუტის საქმესთან დაკავშირებით**

წინასწარ მოსმენაზე ბუტმა არ აღიარა თავისი დანაშაული ბრალდების ოთხიდან არც ერთ პუნქტში, ამრიგად, მისი საქმე გადის ყველაზე რთულ და ხანგრძლივ პროცედურას ამგვარი განხილვების დროს. ბუტის ბრალდების დამტკიცების შემთხვევაში მას ელოდება სასჯელი 25 წლიდან სამუდამო პატიმრობამდე.

* * *

**ყოფილ დიქტატორს დიუვალიეს აეკრძალა ჰაიტის დატოვება**



ჟან-კლოდ დიუვალიეს წინააღმდეგ შეიქმნა სისხლის სამართლის საქმე. მას ბრალი ედება კორუფციაში, სახსრების დატაცებასა და არამიზნობრივ ხარჯვაში თავისი მმართველობის დროს 1971-1986 წლებში. ამის დამატებით ოთხმა ჰაიტიელმა შეიტანა საჩელი მოთხოვნით, გაიხსნას საქმე დანაშაულებების შესახებ კაციობრიობის წინააღმდეგ დიუვალიეს მმართველობის წლებში.

მეგობართა ნაჩუქარი წიგნები

# ციალა არდაშელიას ნაჩუქარი...



იგი მითოსური რომანია და **„იათნანელი ამორძალები“** ჰქვია. აღწერილი ამბები უშორეს წარსულში – აიეტის მეფობის ხანაში ხდება, თუმცა დღევანდელ მკითხველს ბევრ რამეზე დააფიქრებს.

... კუნძულ იათნანაზე (დღევანდელ კვიპროსზეძ ხმელთაშუა ზღვის აუზში რომ მდებარეობს, ცხოვრობენ მითიური აიაიელების შთამომავალნი, რომელთაც წინაპართაგან მემკვიდრეობით მიიღეს მაღალი კულტურა, დამწერლობა, სარწმუნოება... დროთა ვითარებაში იათნანას მკვიდრნი დაძაბუნდნენ და გადაშენების პირას მივიდნენ...

მრავალი ჩვენი და ევროპელი მეცნიერის აზრით (და მითოლოგიითაცძ, ბერძენთა გამოჩენამდე ეგეოსისა და ხმელთაშუა ზღვების აუზში ძირითადი მოსახლეობა ქართველური მოდგმის ტომები იყვნენ, ამორძალთა მემკვიდრეებადაც ქართველ, კერძოდ, კოლხ ქალებს მიიჩნევდნენ... ავტორს თავისუფლებისთვის მებრძოლ ამ ქალებზე არსებული მითები თავისებურად, ახლებურად გაუაზრებია. ნიშანდობლივია რომანის ეპიგრაფად არჩეული დონტე ალიგიერის სიტყვებიც: „და თუ ქვეყანა წახდენილია, ამის მიზეზი თქვენშივეა, იქვე ეძიეთ“.

„იათნანელი ამორძალები“ პირველად 1988 წელს გამოიცა და იგი ინტერესით მიიღო მკითხველმა. ცხადია, ესეც იყო მიზეზი ახლახან, საქართველოს მწერალთა კავშირის თაოსნობით, მისი ხელახალი გამოცემისა.

**„არ ვიცი, რომელ უშორეს წინაპართა ფესვების კარნახით ხატავდა ავტორი ამ ცოცხალი სუნთქვით სავსე შთამბეჭდავ ამბებს, ის კი ცხადია, რომ მას სურს პირველყოვლისა ახალგაზრდობა დააფიქროს – ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რას უნდა გავუფრთხილდეთ, რათა არ წაგვშალოს, არ წაგვლეკოს თანამედროვეობად წოდებულმა უსულგულო სტრიქონებმა“** – წერს ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი რომანის შესავალში და მართლაც, **ციალა არდაშელიას** ეს ნაწარმოები, უპირველესად, სწორედ ახალგაზრდობამ უნდა წაიკითხოს, თავის წარსულზე შეყვარებულმა ახალგაზრდობამ.




# დილარ ივარდავას ნაჩუქარი...



ეს განსაკუთრებული საჩუქარია ჩემი დილარისგან. რა საქმეა – 70 წლისა გამხდარა და განა ლექსების, **„ესეისტური ეტიუდების“** კრებულით შეხვედრია ამ ფრიად ღირსშესანიშნავ თარიღს. ჰოდა, რომ მოგვიტანა რედაქციაში და დაგვასაჩუქრა, მაშინღა გავიგეთ, რომ ამ ნიჭიერი, აღნაგი კოლხის შემოდგომაც ჩამოდგა.

რას ვიზამთ, დროს ვინ შეაჩერებს... და მე მაგონდება 1958 წელი, ჯერაც მაღლაკის საშუალო სკოლის მოსწავლე, სასოფლო ბიბლიოთეკაში, ჟურნალ „მნათობის“ ფურცვლისას, როგორ წავაწყდი დილარ ივარდავას რამდენიმე ლექსს, რომელთაგან „დიოსკურია“ ისე მომეწონა, მალე ზეპირად ვიცოდი, და მაშინდელ მახსოვრობას ახლავე შევამოწმებ:

**„ნელი-ნელ ზღვაზე ეშვება მწუხარი,**
**და ზღვასაც, თითქოს რაღაც წყლული აქვს,**
**მითხარი ზღვაში ორივე მუხლით**
**ვინ ჩაგაჩოქა დიოსკურია!“**

კი, ასეა, ბოლომდე ვიცი დღესაც...

მერე უკვე დედაუნივერსიტეტში გავიცანი ამ ლექსის ავტორი. უნივერსიტეტის გაზეთის რედაქციაში ჩვენს ზაურ ბოლქვაძესთან გავიცანი. იგი ხშირად იბეჭდებოდა ამ გაზეთში, ჟურნალისტიკაზე სწავლობდა და არც შოთა ჩანტლაძის „ლექციებს“ აცდენდა უნივერსიტეტის ბაღში.

ერთი სიტყვით, ნახევარი საუკუნეა, თუ შეიძლება ითქვას, ერთად მოვდივართ და ჩვენი მეგობრობა წლებს არ გაუხუნებია. მე გულით მიხარია მისი ლექსების ყოველი პუბლიკაცია, მამულიშვილური შემართება და კოლხური სიკისკასე (ცოტა წაიავადმყოფა, მაგრამ, ღვთის ნებით, ახლა კარგადააძ.

იგი, მართლაც გამორჩეული პოეტია. 40-მდე პოეტური კრებულის ავტორია, ეწევა ძალზე ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობას, არც პრემიები უკვირს... რაც მთავარია, ჩვენს დილარს გულის კოვზზე აწერია: „ვინც არ არის კახაბერი, მას ვერ ვიტყვი კახაბერად“, ჰოდა, ამ 70 წლის ძმამ და მეგობარმა ამჯერად ესეისტური ეტიუდების კრებული მოგვართვა. წიგნში შესული რამდენიმე ესსე ჩვენს გაზეთშია დაბეჭდილი, საერთოდ კი, დაინტერესებული მკითხველი აქ შეხვდება ქართველ, რუს, ფრანგ, გერმანელ, ინგლისელ, ესპანელ, ამერიკელ ავტორებს, რომელთა შემოქმედებაც კარგად იცის ყველა წიგნიერმა კაცმა, თუმცა ამ ავტორების ბევრ ისეთ ცხოვრებისეულ შტრიხს და დეტალს გვთავაზობს დილარ ივარდავა, რომელიც შეიძლება მავანთათვის სრულიად უცნობი იყოს. რა დასამალია და, მეც ზოგი რამ სწორედ შენი ნაჩუქარი წიგნიდან გავიგე, ჩემო დილარ, ანდერსენის, ჰიუგოს, მამა-შვილ დიუმას, ჟიულ ვერნის, ჩეხოვის, პაბლო ნერუდას, გარსია ლორკას და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. მადლობა ამისთვის! შენს ხვავიან შემოდგომას ვლოცავ!




**ვილენ მარდალეიშვილი**

ნაშრომი

# თუ ღვთაებათა ენის გაცნობა გინდათ...

***საუბარი** აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას 120 წლისთავისადმი მიძღვნილ კიდევ ერთ ფრიად საყურადღებო ნაშრომზე გვექნება, „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის“ სერიით გამოსულ სხვათაგან განსხვავებით, მოზრდილტანიანზე (135 გვერდი). რაოდენ სამწუხაროა, რომ **„ქადაგობა ხევსურეთში“** პროფესორ **თინა ოჩიაურისათვის**, ქართული ეთნოლოგიური სკოლის პირველი თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლისათვის „გედის სიმღერა“ აღმოჩნდა (ქალბატონი თინა შარშან აღესრულა ოქტომბრის თვეში).*

ქადაგობის ინსტიტუტი, მთიელთა რელიგიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი, როგორც ამგვარი ცხოვრების, ისე სოციალურ ურთიერთობათა მრავალ მხარესთან დაკავშირებული, რელიგიური პრაქტიკის მარეგულირებელი და გართულებული, ძნელად მოსაგვარებელი საქმეების მოწესრიგებაში გადამწყვეტი სიტყვის მთქმელი, გვიანობამდე ყოფილა შემონახული აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში.

ტერმინი ქადაგი თურმე საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში გვხვდება და თურმე იმ პიროვნების აღსანიშნავად იხმარება, რომელიც, ხალხის წარმოდგენით, ღვთაების ნება-სურვილის მაუწყებელია, იმისი ენა-პირით მოლაპარაკე, ხალხსა და ღვთაებას შორის მოციქული. დიდი საბას განმარტებით, ქადაგი „მაღალმძახებელი სწავლისაც“ ყოფილა.

თინა ოჩიაურის საგულისყურო მონოგრაფიაში განხილულია ხევსურული ქადაგობის ინსტიტუტი; სპეციალისტთა აზრით, ერთობ დამაჯერებლადაა გარკვეული ამ ინსტიტუტის არსი, ზედმიწევნითი სიზუსტით არის აღწერილი ქადაგად დადგომის, ქადაობისა თუ ქადაგის ცხოვრების წესი და ნაჩვენები ქადაგის სოციალური როლი და ფუნქცია; სხვადასხვა რეგიონის ქადაგობის ინსტიტუტის შედარებითი კვლევის შედეგად გამოვლენილია ფშავ-ხევსურეთში არსებული რჩეულობის ფენომენის თავისებურებანი, რომელთა მიხედვითაც აშკარა ხდება, რომ ხევსურული ქადაგობა განირჩევა შამანობისაგან და რჩეულობის ინსტიტუტის განსხვავებულ კატეგორიად უნდა მივიჩნიოთ.

საერთოდ, თინა ოჩიაურის ეს მონოგრაფია, სპეციალისტების შეფასებით, შედარებით-ისტორიული კვლევის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს, ისევე როგორც წიგნში შეტანილი ეთნოგრაფიული მასალის უნიკალურობის ნიმუშსაც. სწორედ ასეთი უნიკალური მასალის შემცველი ყოფილა, მაგალითად, თავი „ჯვართ ენა“, რომელზეც ცალკე უნდა ითქვას.

ქადაგობის დროს ქადაგი ხმაროზს საგანგებო ტერმინებს. ესაა თურმე ჩვეულებრივი სასაუბრო ენისაგან განსხვავებული ტერმინთა კრება (რა ლამაზი გამოთქმაა „ტერმინთა კრება“, – **ლ. გ.**ძ, რომელსაც ადგილობრივნი ეძახდნენ „ჯვართ ენას“ და ეს გახლდათ, ხალხის წარმოდგენით, ღვთაებათა წმინდა ენა. თინა ოჩიაურის მიერ შეკრებილი „ჯვართ ენის“ ტერმინები 102-ს(!ძ აღემატება. აქ თავმოყრილია სულიერ არსებათა, სხვადასხვა მოვლენის,




საგნის და სხვათა გამომხატველი სიტყვები. აი რამდენიმე: ალვის ტანი – დროშა; ახალწული – ახლად დაბადებული ბავშვი; ბუბუნა – ხარი; დედამზდელი – დედა; მალიკა – ენა; მალიკაობა – საუბარი; სახედველნი – თვალები; უსუსური – მიცვალებული; წული – შვილი; ჯიგვი – ცერი, გოჯი და სხვა.

ავტორს თურმე არასდროს არ შეუწყვეტია ფიქრი „ჯვართ ენაზე“ და 1996 წელს სპეციალური ნაშრომიც გამოუქვეყნებია ისეთი მნიშვნელოვანი დასკვნით, როგორც ღვთაებათა ენად „ჯვართ ენის“ მიჩნევაა...

წიგნს „ქადაგობა ხევსურეთში“ ამშვენებს ქალბატონ თინას საოცრად თბილი წერილი გიორგი ჩიტაიაზე – მოძღვარზე, მასწავლებელზე, პატრონზე: ამ კაცის ცხოვრება ქვეყნისადმი ერთგულებისა და სიყვარულის მაგალითიაო; ახლავს პროფესორ ნინო მინდაძის მაღალკვალიფიციური ბოლოსიტყვაობა თინა ოჩიაურის ამ უკანასკნელ შესანიშნავ ნაშრომზე – გედის სიმღერასავით დასამახსოვრებელზე.

**ლუკა გორგაძე**

# ვინა ვართ და რა ტიპები...

**ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის იმ სერიის თაობაზე, რომელიც პროფესორ თამილა ცაგარეიშვილის შესანიშნავი პროექტის პირმშოა, იწოდება, როგორც „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“ და გამოდის საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის ეგიდითა და სახალხო მხატვრის, აკადემიკოს ზურაბ წერეთლის ფინანსური მხარდაჭერით („სრ“, 28 დეკემბერი, 2010 წ.; 5, 11 იანვარი, 2011 წ.). ამჯერად ვისაუბრებთ აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის ფრიად საგულისხმო ნარკვევზე „ქართველთა წარმომავლობისათვის“.**

ქართველი ხალხის ეთნოგენეზის (წარმოქმნისძ გარკვევის ერთობ რთულ პრობლემას, სულ ცოტა, ათასწლოვანი ისტორია ჰქონია; ჯერ კიდევ X-XI საუკუნეებში ქართულ ინტელექტუალურ ელიტას ჩვენი ჩამომავლობა ბიბლიური ეთნარქებისაგან (ტომის მამამთავრებისაგანძ გამოჰყავდა; ამის საფუძველზე ჩამოყალიბებია, XI საუკუნის მეორე ნახევარში, განსწავლულ ისტორიკოს ლეონტი მროველს მწყობრი ეთნოლოგიური კონცეფცია, რომელიც ქართველთა (აგრეთვე სხვა კავკასიელ ხალხთაძ წინაპრებს შორეულ წარსულში, ბაბილონის გოდოლის შენების „შემდგომად განაყოფისა ენათასა“, შუამდინარეთიდან გადმოსახლებულებად მიიჩნევს და დიდხანს რჩება გაბატონებულ თვალსაზრისად.

გასული საუკუნის შუა ხანიდან ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას, იმისი არაერთი დარგის მიღწევებს ჩვენში ახალი შეხედულების დამკვიდრება მოჰყვა და სადღეისოდ თითქოს დადგენილად უნდა ჩავთვალოთ ქართველთა ავტოქთონობა ძველისძველი მკვიდრობა კავკასიაში; ამით, რა თქმა უნდა, მიგრაციული პროცესები არ გამოირიცხება.




კონცეფციამ კი განიცადა ამგვარი მეტამორფოზა, მაგრამ ეს თურმე თვით პრობლემის სირთულეს ვერ ხსნის. ქართველთა უძველესი „პირველსამშობლოს“ სადღაც სამხრეთში ძიების საკითხი თითქოს ჩაბარდა ისტორიას – სამაგიეროდ მკვეთრად წამოიმართა ჩვენთა წინაპართა ურთიერთობის პრობლემა უძველეს ისტორიულ ხალხებთან, რაც, ძირითადად, ხერხდება ენობრივი მოვლენების, მატერიალური და სულიერი კულტურის მონაცემთა სიღრმისეული ანალიზით.

ავტორი „გვაფრთხილებს“, რომ ჩვენთვის პირველ რიგში საინტერესო საკითხის – კავკასიაში ქართველთა ავტოქთონობის პრობლემის გასარკვევად ანთროპოლოგიური მონაცემებია დიდად მნიშვნელოვანი.

სრული უეჭველობით ყოფილა დადგენილი, რომ ქართველები დიდი, ანუ პირველადი ევრაზიული რასის წარმომადგენლები არიან და განეკუთვნებიან სამხრეთევროპეიდული განშტოების წინააზიურ ანთროპოლოგიურ ტიპს.

აქვე ვგებულობთ, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ ქართველთა შორის, თავის მხრივ, შეინიშნება ლოკალური თავისებურებები, რომელთა მიხედვით გამოყოფა ხუთი, ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ადგილობრივი ნაირსახეობა: შავიზღვისპირული ტიპი, დასავლურქართული ანთროპოლოგიური ტიპი, აღმოსავლურქართული, სამხრეთქართული და ბოლოს – კავკასიონის ტიპი; რა ჯგუფებში შედიან, როგორი შტრიხებით ხასიათდებიან, რა ნიშნებით განირჩევიან – ამას ყველაფერს და კიდევ ბევრ საგულისყუროს ვგებულობთ გამოჩენილი ისტორიკოსის ამ თხზულებიდან...

**თამაზ ებანოიძე**

ხელბურთი

# სკანდინავიური ფენომენი



**როცა ვსაუბრობთ წამყვანი ევროპული კლუბების მიღწევებზე, ყოველთვის ვუსვამთ ხაზს მათ სკანდინაველ ვარსკვლავთა გამორჩეულ როლს პარტნიორთა წარმატებებში.**

ეტყობა, ამჯერად მათში პატრიოტიზმის გრძნობამაც გაიღვიძა. დასტურად შვედეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი გამოდგება, სადაც პირველი ჯგუფური რაუნდი უდანაკარგოდ მხოლოდ ისლანდიისა და დანიის ეროვნულმა ნაკრებებმა დაასრულეს.

დავძენთ, რომ სპორტის აღნიშნული სახეობის აღიარებული ფავორიტი – რუსეთის გუნდი საერთოდ ვერ გავიდა დასკვნით ეტაპზე.

**„ა“ ჯგუფი**

საფრანგეთი – ტუნისი 32:19, გერმანია – ეგვიპტე 30:25, ესპანეთი – ბახრეინი 33:22, საფრანგეთი – ეგვიპტე 28:19, ესპანეთი – ტუნისი 21:18, გერმანია – ბახრეინი 38:18, ეგვიპტე – ტუნისი 27:23, ესპანეთი – გერმანია 26:24, საფრანგეთი – ბახრეინი 41:17, ესპანეთი – ეგვიპტე 31:18, საფრანგეთი – გერმანია 30:23, ტუნისი – ბახრეინი 28:21, საფრანგეთი – ესპანეთი 28:28, გერმანია – ტუნისი 36:26, ბახრეინი – ეგვიპტე 27:26.

**საბოლოო მდგომარეობა:** საფრანგეთი, ესპანეთი – 9-9, გერმანია – 6, ტუნისი, ეგვიპტე, ბახრეინი – 2-2 ქულა.

**„ბ“ ჯგუფი**

ისლანდია – უნგრეთი 32:26, ნორვეგია – იაპონია 35:29, ავსტრია – ბრაზილია 34:24, უნგრეთი – ნორვეგია 26:23, იაპონია – ავსტრია 33:30, ისლანდია – ბრაზილია 34:26, ნორვეგია – ავსტრია 33:27, ისლანდია – იაპონია 36:22, უნგრეთი – ბრაზილია 36:24, ისლანდია – ავსტრია 26:23, უნგრეთი – იაპონია 28:24, ნორვეგია – ბრაზილია 26:25, ისლანდია – ნორვეგია 29:22, იაპონია – ბრაზილია 33:32, უნგრეთი – ავსტრია 32:30.

**საბოლოო მდგომარეობა:** ისლანდია – 10, უნგრეთი – 8, ნორვეგია – 6, იაპონია – 4, ავსტრია – 2, ბრაზილია – 0 ქულა.

**„გ“ ჯგუფი**

დანია – ავსტრალია 47:12, სერბეთი – ალჟირი 25:24, ხორვატეთი – რუმინეთი 27:21, სერბეთი – ავსტრალია 35:18, ხორვატეთი – ალჟირი 26:15, დანია – რუმინეთი 39:30, ხორვატეთი – ავსტრალია 42:15, ალჟირი – რუმინეთი 15:14, დანია – სერბეთი 35:27, რუმინეთი – ავსტრალია 29:14, დანია – ალჟირი 26:18, ხორვატეთი – სერბეთი 24:24, ალჟირი – ავსტრალია 27:18, რუმინეთი – სერბეთი 38:28, დანია – ხორვატეთი 34:29.

**საბოლოო მდგომარეობა:** დანია – 10, ხორვატეთი – 7, სერბეთი – 5, რუმინეთი, ალჟირი – 4-4, ავსტრალია – 0 ქულა.

**„დ“ ჯგუფი**

შვედეთი – ჩილე 28:18, პოლონეთი – სლოვაკეთი 35:33, არგენტინა – კორეა 25:25, შვედეთი – სლოვაკეთი 38:22, პოლონეთი – არგენტინა 24:23, კორეა – ჩილე 37:22, არგენტინა – სლოვაკეთი 23:18, შვედეთი – კორეა 30:24, პოლონეთი – ჩილე 38:23, პოლონეთი – კორეა 25:20, არგენტინა – შვედეთი 27:22, სლოვაკეთი – ჩილე 29:29, შვედეთი – პოლონეთი 24:21, არგენტინა – ჩილე 35:25, კორეა – სლოვაკეთი 31:26.

**საბოლოო მდგომარეობა:** შვედეთი, პოლონეთი – 8-8, არგენტინა – 7, კორეა – 5, სლოვაკეთი, ჩილე – 1-1 ქულა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

კალათბურთი

# ორქულიანი რას მიქვიან!

**წლეულს ევროლიგის „ოთხთა ფინალს“ კატალონიის დედაქალაქი უმასპინძლებს. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ „ბარსელონა“ ყველაზე პრესტიჟული კონტინენტური ჯილდოს ამჟამინდელი მფლობელია, მისი თამაში მოჭარბებულ ინტერესს იწვევს.**

სერხიო კრუნიოლას გუნდს რომ ამჯერადაც საფუძვლიანი ამბიციები აქვს, მეორე ჯგუფური ეტაპის სტარტმა დაადასტურა, როცა „ბროწეულისფერებმა“ შინ პირველი რაუნდის საუკეთესო შედეგის მქონე თელ-ავივის „მაქაბის“ (9 მოგება, 1 წაგება) სძლიეს – 81:71. მასპინძელთა სნაიპერმა ხუან-კარლოს ნავარომ 24 ქულა 5 სამქულიანითა და 9 საჯარიმოთი (ათიდან) მოაგროვა, ანდერსონი კი პარტნიორებს 15 ქულით შეეწია.



არანაკლებ ივაჟკაცა „ფენერბახჩეს“ მძიმე არტილერიამ პირეოსში, სადაც თომასმა (19 ქულა), უკიჩმა (17 ქულა) და ომერმა (14 ქულა) 8-დან 7 სამქულიანი ჩაუგდეს „ოლიმპიაკოსს“ და ოსმალურ კლუბს პრინციპულ მეტოქესთან მსუყე გამარჯვება მოუტანეს – 84:70.

**პირველი ტურის სრული შედეგები:**

**„ა“ ჯგუფი.** „უნიკახა“ – „ტაუგრესი“ 71:76, „რიტასი“ – „პანათინაიკოსი“ 59:80.

**შემდეგი ტური:** „ტაუგრესი“ – „რიტასი“ (26 იანვარი), „პანათინაიკოსი“ – „უნიკახა“ (27 იანვარი).

**„ბ“ ჯგუფი.** „ბარსელონა“ – „მაკაბი“ 81:71, „რომა“ – „ოლიმპია“ 63:64.

**შემდეგი ტური:** „მაკაბი“ – „რომა“, „ოლიმპია“ – „ბარსელონა“ (27 იანვარი).

**„გ“ ჯგუფი.** „რეალი“ – „პარტიზანი“ 78:58, „ეფეს პილსენი“ – „სიენა“ 60:58.

**შემდეგი ტური:** „პარტიზანი“ – „ეფეს პილსენი“, „სიენა“ – „რეალი“ 26 იანვარი).

**„დ“ ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი“ – „ფენერბახჩე“ 70:84, „ვალენსია“ – „ჟალგირისი“ 73:59.

**შემდეგი ტური:** „ჟალგირისი“ – „ოლიმპიაკოსი“ (26 იანვარი), „ფენერბახჩე“ – „ვალენსია“ (27 იანვარი).

**გიორგი შოთაძე**

ჩოგბურთი

# სენსაციები აღი ნახეთ!

**„დიდი მუზარადის“ პირველ ტურნირზე ავსტრალიის ღია ჩემპიონატზე – ჯერ მხოლოდ მესამე წრის შეხვედრები იმართება, თუმცა ფავორიტთა ნაწილმა უკვე მოასწრო „მწვანე კონტინენტის“ დატოვება.**

ამ მხრივ განსაკუთრებით სუსტი სქესის წარმომადგენლებმა „იყოჩაღეს“, – მაგრამ ამაში გასაკვირი არაფერია – თავბრუდამხვევი არდადეგების შემდეგ ქალები ხომ ძნელად ეგუებიან დაძაბული სეზონის რიტმს.

მშრალი ნათქვამი რომ არ გამოგვივიდეს, მელბურნის კორტების პირველ ზოზოლა მსხვერპლთა ვინაობას გაგაცნობთ: ჟუსტინ ენენი, ელენა იანკოვიჩი, ანა ივანოვიჩი, დინარა საფინა. დაგვეთანხმებით, სტარტისთვის საკმარისია, მაგრამ ჯერ სადა ხართ – დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, რომ მალე მათ ხვედრს ელიტის კიდევ არაერთი ბინადარი გაიზიარებს.

რაც შეეხება ვაჟთა სენსაციებს, ისინი ხუან მარტინ დელ პოტროსა და ნიკოლაი დავიდენკოს დამარცხებებით გამოცხვა, მსოფლიოს მეორე ჩოგანს – როჯერ ფედერერს კი ფრანგ ჟილ სიმონთან პაექრობისას წყლიდან მშრალად ამოსვლა ხუთსეტიანი მარათონის შემდეგ მოუხდა.



ინტერნეტიდან



## სომხები ქართველებს მოელიან

**როგორც რუსული გაზეთი „სპორტ-ექსპრესი“ (21.01.2011) იტყობინება, ფეხბურთში სომხეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელს ვარდან მინასიანს განუცხადებია, რომ მისი გუნდი კვიპროსზე საწვრთნელი შეკრების დროს 6-დან 10 თებერვლამდე შემოიფარგლება მხოლოდ ერთი საკონტროლო მატჩით საქართველოს ნაკრებთან, რომელიც 9 თებერვალს გაიმართება.**

ჩვენს მეზობელთა თავკაცს ისიც უთქვამს, რომ საქართველოსთან შეხვედრას მისი შეგირდები ჩაატარებენ იმ შემადგენლობით, რომელიც მაქსიმალურად მიახლოებული იქნება ოპტიმალურთან.

## რუუდ გულიტი – „ტერეკში“



**ამთავითვე უნდა ითქვას, და ამას თავად ცნობილი ჰოლანდიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი რუუდ გულიტიც ადასტურებს, რომ გროზნოს გუნდში მისი დანიშვნისას ფინანსური მხარე მთავარი არ ყოფილა.**

როგორც 48 წლის სპეციალისტი აცხადებს, – მას შემდეგ, რაც მან დაამთავრა თავისი მისია, როგორც 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის ჰოლანდია-ბელგიის საგანაცხადო კომიტეტის თავმჯდომარემ, გაუჩნდა საწვრთნელ საქმიანობაში დაბრუნების სურვილი. მართალია, შეთავაზებანი ევროპული გუნდებიდან არ ყოფილა, რაც ბუნებრივია სეზონის შუაგულისათვის, სამაგიეროდ იყო თურე ორი შეთავაზება ევროპის საზღვრებს გარედან, რომელთაგან ერთ-ერთი შორს იყოო.

გულიტის თქმით, მან გროზნოს „ტერეკი“ იმიტომ აირჩია, რომ ეს გუნდი მიზნად ისახავს ევროტურნირებში მონაწილეობას. „მე ასევე მივხვდი, რომ კლუბს აქვს შემადგენლობის გაძლიერების შესაძლებლობა და ფიქრობენ, რომ ჩემი იქ ყოფნა დაეხმარებათ მაღალი დონის ფეხბურთელების შეძენაში“.

გულიტმა კლუბთან კონტრაქტი 2012 წლის ზაფხულამდე გააფორმა.

## ლიდერობს ანანდი



**ჰოლანდიურ ვეიკ-ან-ზეეში გაიმართა საჭადრაკო სუპერტურნირის მე-5 ტური. ვან ხაომ დაამარცხა გრიშჩუკი, ანანდმა – სმიტსი, ძალზე დიდხანს გაგრძელდა კარლსენ – ლ' ამის პარტია, რომელიც ბოლოს ნორვეგიელის გამარჯვებით დამთავრდა.** ყაიმზე შეთანხმდნენ კრამნიკი – არონიანი, ნეპომნიაშჩი – შიროვი, ვაშიე ლაგრავი – გირი, ნაკამურა – პონომარიოვი, 5 ტურის შემდეგ ლიდერობს ანანდი – 4 ქულა. შემდეგ მოდიან ნაკამურა – 3,5, არონიანი, გირი, ვაშიე ლაგრავი – 3. კრამნიკი, კარლსენი, ნეპომნიაშჩი, პონომარიოვი – 2,5, ლ' ამი, სმიტსი, ვან ხაო – 2, გრიშჩუკი – 1,5, შიროვი – 1 ქულა.

## რაღა უნდა ინატრო?

**ზღვა, მზე, პალმები და ქვიშიანი პლაჟი – სხვა რა უნდა ინატროს ორმა შეყვარებულმა – ისეთებმა, როგორნიც არიან ბულგარეთის ნაკრებისა და იტალიური „პარმას“ თავდამსხმელი ვალერი ბოჟინოვი და მისი მომავალი შვილის დედა, ლამაზმანი ნიკოლეტა ლოზანოვა, თავი რომ გაარიდეს მათზე მოჭორავეებს და მალდივის კუნძულებზე, თითქმის სამოთხეში, აღნიშნეს შობა და ახალი წელი.**



უზრუნველ გარემოში ფეხბურთელმა თავის ლამაზ ცოლს თავისებური ფოტოსესია მოუწყო. ის ჩვეულებრივი ფოტოაპარატით იღებდა სურათებს, ნიკოლეტა კი თავს არ იწუხებდა მაკიაჟზე და მაინც მშვენიერი ფოტოსურათები გამოუვიდათ, მორიგი ნომრისთვის მაშინვე რომ შეიძინა ჟურნალმა OK.

„მე მსიამოვნებს ის, რომ ვალერი ჩემში ხედავს საყვარელ ქალს და არა მოდელს. ეს სამოყვარულო ფოტოსურათები საუკეთესოა მათ შორის, რომლებიც ჩემთვის დღემდე გადაუღიათ“, – უთხრა ნიკოლეტამ ჟურნალისტებს.

◎ არდავიწყება მოყვრისა

# ანარქიზმის ფილოსოფია — მითი და სინამდვილე

## ვარლამ ჩერქეზიშვილის (1846-1925) დაბადებიდან 165 წლისთავისთვის

**ქართულ საზოგადოებაში (და არა მარტო ქართულში), წლების მანძილზე ანარქიზმზე და ანარქისტებზე მეტად არასწორი წარმოდგენა დამკვიდრდა. კომუნისტურმა იდეოლოგიამ შეგნებულად და მიზანმიმართულად მათგან პათოლოგების, საზოგადოებისთვის საშიში მტრის ხატი შექმნა. ამას სათავე სტალინის გახმაურებულმა შრომამ — „მარქსიზმი თუ ანარქიზმი“ დაუდო. იგი რუსი და ევროპელი მარქსისტების დაკვეთით დაიწერა ცნობილი ქართველი ანარქისტის, რუსული და ევროპული „ანარქო-სინდიკალიზმის“ ერთ-ერთი ფუძემდებლისა და მამამთავრის ვარლამ ჩერქეზიშვილის წინააღმდეგ.**

ვინ არის ვარლამ ჩერქეზიშვილი და რას წარმოადგენს ანარქიზმის ფილოსოფიის არსი?

მოკლედ რომ ვთქვათ, ანარქიზმის ფილოსოფიისა და პოლიტიკური იდეოლოგიის არსი სახელმწიფო ცენტრალიზებული მმართველობის ადგილობრივ თვითმმართველურ ასოციაციებად (კორპორაციებად, სინდიკატებად) გარდაქმნაა.

ვარლამ ჩერქეზიშვილს უდიდეს პატივს სცემდა ილია ჭავჭავაძე. მისი ათობით და ასობით წერილი და სტატია იბეჭდებოდა „ივერიის“ გვერდებზე „ვაზიანელისა“ და „მანაველს“ ფსევდონიმებით. დიდია მისი დამსახურება ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორიის ფორმირებაში. ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, ზნეობრივი და სოციალურ-ეკონომიკური პრინციპიდან ერთ-ერთი ვარლამ ჩერქეზიშვილის იდეური მემკვიდრეობის ნაყოფია: „ჩვენი ხსნა ხალხის თვითმოქმედებასა და თვითმმართველობაშია!“

„ვარლამ ჩერკეზოვ — ქართველი თავადი“, ასე იცნობდნენ მას რუსეთსა და ევროპაში. კროპოტკინი, ბაკუნინი, რეკლიუ, გილიოზი მას თავის მასწავლებლად და ზნეობრივ გმირად აღიარებდნენ. იგი თავისუფლად ფლობდა ყველა ძირითად ევროპულ ენას და დაპყრობილი ჰქონდა მთელი მაშინდელი პრესა. 1896 წელს პარიზში გამოცემულ ნაშრომში — „ფურცლები სოციალიზმის ისტორიიდან“, დოკუმენტურად დაამტკიცა, რომ მარქსიზმი ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ სოციალ-პოლიტიკურ მოძღვრებათა „უხეირო მიმბაძველობაა“, რომ კაპიტალიზმი კი არ უნდა მოისპოს, არამედ სახელმწიფოსთან ერთად მისი სრულყოფა-განვითარება უნდა მოხდეს, კაპიტა-



ლის თავისებური „განსაზოგადოება-სოციალიზაცია“.

ვარლამ ჩერქეზიშვილი მარტო თეორიტიკოსი არ იყო. იგი დიდი პრაქტიკოსი-პრაგმატისტი და პატრიოტიც იყო. მისი ინიციატივითა და ილიას მხარდაჭერით დაფუძნდა „ხოდაბუნური“ ტიპის რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო კორპორაცია კახეთში. რუსეთსა და ევროპაში გაიხსნა მათი მაღაზიები, გაყვანილი იქნა კახეთის რკინიგზა, მათი დახმარებით დაძმა უორდროპებმა თარგმნეს „ვეფხისტყაოსანი“ ინგლისურ ენაზე... 75 წლის ვარლამ ჩერქეზიშვილი იარაღით ხელში ებრძოდა რუს ოკუპანტებს კოჯრის მისადგომებთან...

ვარლამ ჩერქეზიშვილმა საქართველოს მომავლის იდეოლოგია და ფილოსოფია შექმნა. „არასახელმწიფოებრივი“, ანუ, „ხოდაბუნურ-კიბუცური სოციალიზმი“, — ასეთია მისი ერთ-ერთი სამომავლო ხედვა და პოლიტიკური პროგნოზირება, საპროგრამო მოთხოვნად რომ დაედო არჩილ ჯორჯაძესთან, გრიგოლ რობაქიძესთან, შალვა ნუცუბიძესთან და სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად შექმნილ საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიას. მას სწამდა, რომ ადრე თუ გვიან საქართველო „ძველებურად კვლავ გაბრწყინდება“...

ზედგამოჭრით ამაზეა ნათქვამი: ნუ დააგდებ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა...

ელბერტ ბატიაშვილი

◎ დაიჯესტი

## ვიდრე ამოწყვეტის პირას არ მივალთ...

**დედამიწის მეექვსე კონტინენტის, ყინულით დაფარული ანტარქტიდის სანაპირო ზოლი, ახალ შვაბიად წოდებულ ცენტრალურ ნაწილთან შედარებით კარგადაა შესწავლილი, თუმცა მკვლევართა ინტერესს სწორედ ეს უკანასკნელი უფრო მეტად იწვევს.**

საქმე ის არის, რომ დიდი ხანია ვრცელდება ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ამ ადგილას დისლოცირებული იყო... მესამე რაიხის სამხედრო-საზღვაო ბაზა, სადაც გერმანელები საიდუმლო იარაღის, ზებგერითი სიჩქარის მქონე მფრინავი დისკოების შექმნაზე მუშაობდნენ, რომლებიც სარაკეტო და ბირთვული ძრავებით იყო აღჭურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები ანტარქტიდაში საიდუმლო ბაზის, „103-ე პროექტის“ არსებობას კატეგორიულად უარჰყოფდნენ, ცნობილი ამერიკელი მკვლევარი, კონტრადმირალი რიჩარდ ბერდი, რომელიც ყინულოვან კონტინენტზე ბოლოს 1955 წელს იყო, ამ ექსპედიციის შესახებ საუბრისას ერთ შემთხვევას აღწერს: „პოლუსის სიახლოვეს ყურადღება მივაქციე უცნაურ ლაქას, რომელიც გამუდმებით ფერს იცვლიდა — ხან წითლდებოდა, ხან ყვითლდებოდა, ხანაც იასამნისფერდებოდა. ექსპედიციის რამდენიმე წევრთან ერთად ვერტმფრენში ჩავჯექი და ნათების კვალს მივყევი. ახლა წარმოიდგინეთ ჩვენი გაოცება, როცა გარკვეულ ადგილს მივაღწიეთ... ერთიანად მწვანე ტყეები და მინდვრები დავინახეთ, სადაც ცხოველები ბალახობდნენ, ჰაერში კი უცნაური ფორმის აპარატები დაფრინავდნენ. ამის შემდეგ კი ტემპერატურა ვერტმფრენში საგრძნობლად შეიცვალა და ცელსიუსის 23 გრადუსს მიაღწია!“

როცა ეს ამბავი ადმირალ ბერდის მეუღლემ შეიტყო, მან საჯაროდ განაცხადა, რომ მანამდე, ერთ-



ერთი ექსპედიციის დროს, მის ქმარს უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლებთან ჰქონდა კონტაქტი, რომელიც კაცობრიობას სულ მცირე ათასი წლით უსწრებს. „ისინი მზად არიან, დახმარება აღმოგვიჩინონ, ოღონდ ეს მხოლოდ მაშინ მოხდება, როცა თვითგამანადგურებლის საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით“, — დაბეჯითებით ამბობდა მისის ბერდი, თან დასძენდა, რომ ინფორმაციის გავრცელების სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ სპეცსამსახურები.

---

### თუ დასვენებაა, დასვენება იყოს!

**კაცმა წელიწადში ერთხელ მაინც რომ დაისვენოს, ამაში, ალბათ, ცუდი არაფერია, მაგრამ დასვენების ხანგრძლივობასაც გააჩნია, ხოლო ამ საკითხისადმი მიდგომა, თურმე, სხვადასხვა ეროვნების ადამიანს განსხვავებული აქვს. მაგალითად, ფრანგებს კუთვნილი შვებულების მთლიანად ერთიანად გამოყენება ურჩევნიათ, ხოლო იაპონელებს დიდ ხანს დასვენება არ ყვარებიათ. აღმოჩნდა, რომ ფრანგების 89 პროცენტი შვებულებას სრულად იყენებს. კარგად დასვენების ტრფიალთა შორის მეორე ადგილზე არგენტინელები ყოფილან 80-პროცენტიანი მაჩვენებლით, რომლებსაც „77-პროცენტიანი“ უნგრელები მოსდევენ.**

კუთვნილი დასვენების დროს ყველაზე ნაკლებად კი, თურმე, ავსტრალიელები, სამხრეთ აფრიკელები და იაპონელები იყენებენ: პირველ ორ ქვეყანაში არდადეგებს სრულად იყენებს მხოლოდ მომუშავეთა 47 პროცენტი, ხოლო იაპონიაში — 33 პროცენტი.



### „ჩავარტყათ“ თითო ლუდი?

**ბახუსის „არაერთი სერიოზული“ „ფანატი“ ლუდს „მაიმუნების კაკაოს“ რომ ეძახის, ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ, როგორც ჩანს, კაკაოცაა და კაკაოც. საინტერესოა, რას იტყვიან ისინი, თუკი ვინმე „არც მთლად დალაგებული“ მათ 765-დოლარიან ბოთლ ლუდს შესთავაზებს?** არადა, სწორედ ამდენი ღირს შოტლანდიური ფირმის „ბრიუ დოგმას“ ახალი ლუდი, რომელიც... ტყავის ბოთლებით იყიდება. ლუდის ალკოჰოლის მაჩვენებელი 55 პროცენტია და, თქვენ წარმოიდგინეთ, მომხმარებელიც არ აკლია.

ისე, კაცმა რომ თქვას, როგორი საკითხავია ჩვენისთანა ხალხისთვის — თითო ლუდი „ბრიუ დოგმა“ ხომ არ დაგველია პეროვსკაიას ქუჩაზე?

თენგიზ ქავთარაძე ოჯახით სამძიმარს უცხადებს დავით და ირმა ქანთარიებს სიმამრისა და მამის

აპოლონ ხარიტონის ძე მანიას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

◎ ინფორმაცია

### კომპენსაცია — პლუს ფართი

[illegible] ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის კობა სუბელიანის განცხადებით, დევნილებს, რომელთაც რეგიონებში ფართებს სთავაზობენ, სახელმწიფოსგან კომპენსაცია მიღებული აქვთ.

— კომპენსცია — პლუს ფართი. ეს არის ის, რასაც დევნილები სახელმწიფოსგან იღებენ, — განუცხადა სუბელიანმა ჟურნალისტებს მთავრობის გუშინდელი სხდომის დაწყების წინ.

მისივე განმარტებით, ამ ეტაპზე სწორედ იმ იძულებით გადაადგილებულ პირთა გამოსახლება მიმდინარეობს, რომლებსაც კომპენსაცია უკვე მიღებული აქვთ.

### ფილიპინელმა გემის კაპიტანმა ჯარიმა პატიოსნად გადაიხადა

[illegible] ფილიპინების დროშით მცურავ მშრალტვირთმზიდ გემ MOHAVE MAIDEN-ის კაპიტანმა, ფილიპინების მოქალაქემ ლეონარდო მ. ატიენზამ-მ ბიუჯეტის სასარგებლოდ მასზე დაკისრებული ჯარიმა 65 000 ლარის და გარემოზე მიყენებული ზიანი 68 ლარის და 46 თეთრის ოდენობით აანაზღაურა.

როგორც საქართველოს სასაზღვრო პოლიცია იუწყება, გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.

ჯი-ეიჩ-ენი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

ნომრის კარიკატურა





## დეზოდორის მაგივრად

# სიბინძურის ყულაბა,

### ანუ ვის როგორ ესმის სიტყვის თავისუფლება

**სოსო ჯაჭვლიანი „ალიას“ ფურცლებზე უშეოდ და უკაოდ იგინება, ასოებს სახიფათოდ ეთამაშება**



„ალიას“ და „ქრონიკის“ ფურცლებზე ლანძღვა-გინების კორიანტელი დგას. ასეა „ალიას“ ბოლო ნომერშიც. გამოქვეყნებულია ნინო სამხარაძის ორი ინტერვიუ. ერთი ბადრი პატარკაციშვილის ყოფილ პრესსამსახურის უფროს ელისო კილაძესთან, ხოლო მეორე არცთუ „არაცნობად“ სოსო ჯაჭვლიანთან, რომელსაც, ელისო კილაძის თქმით, ბადრი პატარკაციშვილისაგან 60 ათასი ევრო ჰქონია აღებული, და ამის გამო ეს ჩვენი სოსო ჯიუტად აცხადებს: „ელისო კილაძე, შენ მოგიტ... ან დედის ტრა..ი!.. ნინო სამხარაძე, შენ თუ ამას, არ დაწერ, მაშინ შენც მოგიტ...ან!.. ამ სკანდალს, ეტყობა, თემურ შაშიაშვილი ხლართავს“...




(„თეთრების“ ლიდერი ამ შემთხვევაში გადარჩენილია ტრა...ის მოტ...ვნისაგან!ძ.

კი, ბატონო, გაბრაზებული რესპონდენტი კორესპონდენტთან საუბარში ბევრ რამეს იტყვის, იქნებ კარგა გვარიანადაც აიმყრალოს პირი, მაგრამ განა საჭიროა, რომ ყველაფერი გაზეთის ფურცლებზე ანდა ეთერში მოხვდეს?!

არადა ამ ბოლო დროს, ხან დაბრმავება მოგინდება, ხანაც დაყრუება, ისეთი რამეები გვესმის ეკრანიდან და ისეთ გინებებს ვკითხულობთ გაზეთების ფურცლებზე.

ნუთუ აღარავითარ პატივს არ უნდა ვცემდეთ მსმენელს, მაყურებელს, მკითხველს?!

ნუთუ საბოლოოდ წაიშალა ეთიკისა და ზრდილობის ყოველგვარი ზღვარი?!.

მართალია, ამ ავბედითი ჟ-სა და კ-ს ჯერჯერობით ჩვენ, მკითხველებს, გვამატებინებენ, მაგრამ ვითომ ეს უყეობა და უკაობა რამდენადმე შველის საქმეს?

ისე, უაღგილო წყევლისა არ იყოს, გინებაც, თუნდაც ასოებგამოტოვებული, ისევ მთქმელს და დამწერს უბრუნდება, ოღონდ სრულად, ასოებგამოუტოვებლად...

ასე რომ ჯაჭვლიანთან ერთად მისგან შეშინებული სამხარაძეც მართლაც თვითონვე მოიტ...ნავს მოსატ...ნავს... თუ, რასაკვირველია, ვითომდა საქმის საშველად ასე ასოებგამოტოვებით განაგრძო მკითხველის აბუჩად აგდება.

**მანუჩარ მინაშვილი,**
ყოფილი „ნიანგელი“
ქ. ვანი.

## ორი ფოტოფაქტი

# ქუჩის მუსიკოსების დასტა...



შევეჩვიეთ მიწისქვეშა გადასასვლელებში ქუჩის მუსიკოსების დაშხოშიან მელოდიებს... ეს ფოტო ნათლისღების დღეს „ბუკიას ბაღთან“ მეტროს ჩასასვლელში გადაუღია ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს ლადო აბულაძეს და ზედ ლექსად წაუწერია:

„ნათლისღება, ნათლისღება,
სიხარულით გული ტკბება,
მღერის გული, ღელავს სული,
დოლ-გარმონზე გამართული“.

მაშ, შეგვეწიოს ნათლისღების მადლი!

# „უბერავენ“ ბერიკები



ქუჩის მუსიკოსებზე ვწერ და... რედაქციის ფანჯარაში გუშინ დოლ-გარმონისა და კლარნეტის ხმა შემოიჭრა. რა ხდება? გავედით, შევერიეთ ახალგაზრდებს. კახეთიდან ჩამოსულან ბერიკები, ცეკვა-ცეკვით მოუყვებიან გიორგი ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას)ძ ქუჩას. ლაღობენ, ხუმრობენ, ნიღბებს იხსნიან და ეცეკვებიან ერთადერთ ქალ-ბერიკას...

რა სჯობს ქართულ სილაღეს!..

**ვილენ მარდალეიშვილი**

**რეკლამა**

„საქართველოს რესპუბლიკაში“

99-62-77; 899 32-85-76.

გ. ახვლედიანის ქ. №19.



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## კადრი



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -2 — +5 |
| ქუთაისი. | +4 — +13 |
| ბათუმი. | +3 — +15 |
| ზუგდიდი. | +3 — +14 |
| თელავი. | -3 — +6 |

## ანეკდოტები

სვანი მეცხრე სართულიდან გადმოვარდა, მაგრამ მალევე წამოდგა და ტანსაცმლის ბერტყვა დაიწყო.

— რა მოხდა? — მიცვივდა ხალხი.

— რა ვიცი, კაცო, მეც ახლა მოვედი...

* * *

დღეს საციგურაოზე ვიყავი... ჯერ ციგურებით ვისრიალე ყინულზე, მერე — მუხლებით, ბოლოს პირქვე დამხობილმა — ცხვირ-პირითაც... ახლა კი „სასწრაფო დახმარების“ მანქანით მივსრიალებ...

* * *



— ცოლი ძალიან გაბრაზებულია და არ მელაპარაკება. გულუბრყვილოა, საწყალი. იგი ჩემი მესამე ცოლია, მე კი ჩუმად ყოფნის მოყვარულთა შორის ჩემპიონი ვარ. ახლა შემიძლია, ორი დღე წყნარად და ჩუმად ვიყო.

— მხოლოდ ორი დღე? აკი, ჩემპიონი ვარო?

— მე კი ვარ ჩემპიონი, მაგრამ განა რომელიმე ქალს შეუძლია ორ დღეზე მეტ ხანს უხმოდ უყუროს ბედნიერ ქმარს?

* * *

მამამ მაგრად მიტყეპა შვილი და მერე ეკითხება:

— აბა, მითხარი, რისთვის მოგხვდა!

— აი, რანაირი ხარ, — სლუკუნებს ბავშვი, — ჯერ მცემ და მერე მევე მეუბნები, მითხარი, რისთვის გცემეო!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.